ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 იანვარი 2001 №5 (1278) | ფასი 50 თეთრი


**2** გამოთვლითი მათემატიკა ფეხბურთელის გამოსათლელად **3**

რას გვპირდებიან ახლადშექმნილ 17 და 19 წლამდელთა ნაკრებების ახალდანიშნული მწვრთნელები

**5** ბაიერნი ბაიერნით იფრენს



კაიზერი თვითმფრინავებს ყიდულობს

**6** ბარეჭი არავის გჭირდებათ?



„ლესტერი" რობერტო მანჩინის ათამაშებას აპირებს

**15** მაკალუ გადარჩა



პოლონელებთან შეამხანაგებულმა გია თორთლაძემ რვაათასიანს ვერ უწია

# დემეტრაძის მწარე იუბილე

## სოსიედადში ერთი თვის წინ გადასული ხუთმილიონიანი ქართველი ორ თვეს დაისვენებს

საქართველოს ნაკრებისა და ესპანეთის „სოსიედადის" ახალშეძენილი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე გუშინ მძიმედ დაშავდა და, როგორც ექიმებმა თქვეს, ორი თვე უქმად ყოფნა მოუწევს.

„სოსიედადი" შუა ვარჯიშში იყო, როცა ჩვენებურმა მუხლის საშინელი ტკივილი იგრძნო, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ დემეტრაძეს მენისკი ისეთ დღეში ჰქონდა, ქირურგების ჩარევა აუცილებელი იყო. გუშინვე ქართველი თავდამსხმელი, რომელსაც „სოსიედადის" ექიმიც ახლდა, სან სებასტიანის ერთ-ერთ კლინიკაში იქაურმა მედიკოსებმა გასინჯეს და დიაგნოზიც დაადასტურეს — მენისკი. თუ ოპერაციისშემდგომმა აღდგენითმა პროცესმა გაურთულებლად ჩაიარა, გიორგი დემეტრაძე თვენახევარს მაინც დაისვენებს, მოედანზეც, ალბათ, მარტის დამდეგსლა გამოჩნდება, ასე რომ, 14 თებერვლის საქართველო — უკრაინის ამხანაგურ მატჩსაც გამოტოვებს.

არადა, კიევის „დინამოდან" „სოსიედადში" ზუსტად ერთი თვის წინ ხუთ მილიონად გადასულმა გიორგი დემეტრაძემ ბასკურ კლუბში ჯერ მხოლოდ ოცად-ოცი წუთი ითამაშა. „სარაგოსასთან" შინ შეხვედრისას „სოსიედადის" ახალმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ჩვენებური მეორე ტაიმში ათამაშა და მალე სხვა ფეხბურთელით შეცვალა. მომდევნო მატჩში გიორგი დემეტრაძე „სოსიედადის" შემადგენლობაში საერთოდ არ ყოფილა, ახლა კი...

**ძოზა ინასარიძე**



ესპანური ლიგის პირველი ქართველი გიორგი დემეტრაძე ბუცებს კარგა ხანს ველარ მოირგებს

# ახალი ემანუელა

## ილიმ, რა თქმა უნდა, შემოიხია

უხმაურო და უსენსაციო პირველი წრის შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობაზე გუშინ ბოლოლათა წაჭრილი თავების დათვლა დაიწყო. დაზარალებულთა შორის ჯერ მხოლოდ ესპანელები მოხვდნენ. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი კონჩიტა მარტინესი მოარულმა ტრავმამ — დოლბანდებში გახვეულმა შვეიცარიელმა ემანუელა გალიარდიმ დაამარცხა. დევისის თასის ფინალის გმირი — ხუან კარლოს ფერერო კი მასპინძელმა, მაისურების მტერმა ენდრიუ ილიმ გაამწარა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS



გუშინ ამათ გაიხარეს: ემანუელა გალიარდი და ენდრიუ ილი

# კვირა რუმინეთამდე

## უეფამ ფედერაციას მერსედესი მოუწონა

**ჯერ** ადრეა, მაგრამ მაინც ვთქვათ. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე შესარჩევ მატჩს, ალბათ მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები შინ, რუმინეთთან 28 მარტს ჩაატარებს. საამისოდ კი ჩვენი გუნდი ერთი კვირით ადრე, 21 მარტს, დილმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება. 24-ში რუმინელები იტალიელებს მასპინძლობენ, ქართველები კი თავისუფლები არიან და რადგანაც ის დღე და 28 ფიფასგან შესარჩევი მატჩებისთვისაა გამოყოფილი, ჩვენებურთ საშუალება აქვთ, 24 მარტს უთამაშებლად, რუმინელების დასახვედრად მზადება ერთი კვირით ადრე დაიწყონ.

ალბათ ისიც იცით, კლუბებს ფეხბურთელთა ნაკრებში გაშვება მატჩამდე 48 საათით ადრე რომ შეუძლიათ და იქამდე თუ ფეხბურთელი ნაკრებში არ გამოცხადდა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კლუბს პასუხს ვერ მოსთხოვს. ჰოდა, იყო შანსი იმისა, ჩვენი ეროვნული გუნდი რუმინელებთან მატჩისთვის 26 მარტს შეკრებილიყო. ახლა კი, როგორც ზემოთ ვთქვით, რადგანაც 24 მარტსაც შესარჩევი მატჩებია, ქართველები ამას სათავისოდ იყენებენ.

რომელ სტადიონზე უმასპინძლებს, საქართველოს ნაკრები რუმინელებს, ჯერჯერობით უცნობია. ვარიანტი ორია — ან ვაკე, ჯერაც მშენებარე „მიხეილ მესხი“, ანაც ეროვნული. თუ „მიხეილ მესხის“ დამთავრება მარტამდე მოესწრო, მაშინ ქომაგთ უეჭველად ვაკეში მოუწევთ მისვლა, თუ ვერა — დიდუბეში. თბილისის მერიას ფეხბურთის ფედერაციისთვის უთხოვია, ეგებ საგანგებოდ ამ დღისთვის პროჟექტორები შევიძინოთო. ფედერაციაც ახლა ამაზე მუშაობს და იაფ ვარიანტს ეძებს.

მანამდე კი, 14 თებერვალს ქართველები უკრაინელებთან ნაღდად ეროვნულზე და ალბათ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ.

და ერთიც. თქვენ წარმოიდგინეთ, უეფას საქართველოს ნაკრების კუთვნილი „მერსედესის“ ავტობუსი ისე მოსწონებია, ფედერაციისთვის უთხოვია, ეგებ ბოსნია-ჰერცეგოვინასაც დაეხმაროთ თქვენნაირი ავტობუსის შეძენაშიო.

**კობა ინასარიძე**

### პორტუგალია

თასის მერვედფინალი

**ბენფიკა 1:1დ.დ. (1:1) პორტუ**

**ფარენსე 0:1დ.დ. (0:0) მარიტიმუ**

### ბელგია

თასის მერვედფინალი

**ანდერლეხტი 2:1 გენტი**

**ამხანაგური მატჩი**

**ისრაელი 2:0 უზბეკეთი**

1:0 ტალქარი (3), 2:0 მიზრახი (33)

### ინგლისი

II დივიზიონი

**სტოკი 1:0 ბრენტფორდი**

თასის მესამე ეტაპი

გადათამაშება

**კრ. პალასი 2:4დ.დ. (2:2) სანდერლენდი**

**ასტონ ვილა 1:0 ნიუკასლი**

**ქუინზ პარკი 2:1დ.დ. (1:1) ლუთონი**

**დაგენემი — ჩარლტონი**

გადაიდო

### ესპანეთი

თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩები

**სარაგოსა 4:1 მურსია (3:2)**

**ბილბაო 0:0 რასინგი (0:2)**

**რაიო ვალეკანო 0:2 ატლეტიკო (2:2)**

**მალიორკა 2:0 ტენერიფე (2:0)**

**ესპანიოლი 1:0 ესტრემადურა (1:1)**

**სელტა 0:1 ლეგანესი (2:1)**

**გრანადა 0:0 (პენ.5:4) გუადიქსი (0:0)**

### საბერძნეთი

თასის მერვედფინალი

პირველი მატჩები

**ირაკლისი 2:1 იანინა**

**ქსანთი 2:0 იონიკოსი**

**პანიონიოსი 1:0 პანათინაიკოსი**

**არისი 1:1 პაოკ**



REUTERS

კრისტალ პალასი — სანდერლენდი 2:4. სტუმართაგან მასპინძლების დამარცხებას ნაილ ქუინის (№9) პირველმა გოლმა დაუდო სათავე



კობა ჟორჟიკაშვილი

საუკუნის ბოლო სხდომა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მორიგი გადაწყვეტილებებით დაასრულა, რომელთაგან ერთ-ერთის თანახმად, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად კობა ჟორჟიკაშვილი დამტკიცდა. კობა ჟორჟიკაშვილი 1962 წელს დაიბადა და 1972 წლიდან ფეხბურთშია. სხვადასხვა დროს საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში რუსთავის „მეტალურგში“, ფოთის „კოლხეთში“ და თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა. ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისს „მრეტებში“ შეხვდა. უთამაშია „ანცში“, „შევარდენი-ლოკომოტივში“, წლების მანძილზე გამოდიოდა საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებშიც. სამწვრთნელო მოღვაწეობას 1987 წლიდან მიჰყო ხელი. წვრთნიდა „მუხრანს“, მეორე მწვრთნელად უმუშავია „მრეტებსა“ და „ლოკომოტივში“, ბოლო ოთხი წელია ბავშვთა ფეხბურთში მუშაობს, 2000 წლის 22 დეკემბერს კი სფფ-ის აღმასკომმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა. მიუხედავად ამისა, დღემდე აგრძელებს მუშაობას უმცროსი ასაკის მოზარდებს შორის და თვლის, რომ 1989 წელს დაბადებული „იაროს“ სკოლის აღსაზრდელები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან საქართველოში. ჟორჟიკაშვილს „იაროს“ საფეხბურთო სკოლაში ვეწვიეთ. გაუხარდა, პრობლემები არ გვაკლია და ყურადღებისთვის მადლობას გიხდითო, გვითხრა.

# გამოთვლითი მათემატიკა ფეხბურთელის გამოსათვლელად

— 17-წლამდელთა ნაკრების ჩაბარებამდე, მოგეხსენებათ, 14-წლამდეთა გუნდი მებარა. ძირითადად 1985 წელს დაბადებული ფეხბურთელები მყავდა. შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებდი მათ დასაღვინებლად. ორჯერ შეკრება გავიარეთ. ერთხელ შარშან, იანვარში, როცა ესენგეს თასის პარალელურ ბავშვთა ტურნირზე ვიასპარეზეთ, მეორედ კი გაზაფხულზე ათიოდე დღით შევკრიბე გუნდი. ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთი იყო, მაგრამ სფფ-ის მეცადინოებით, გასულ წელს ბავშთა ლიგა ჩამოყალიბდა, ნაკრების წევრები და კანდიდატები სხვადასხვა გუნდებში გადანაწილდნენ, მეც ვცდილობდი, ერთი სტადიონიდან მეორეზე დავდიოდი, შეძლებისდაგვარად ყველას ვაკვირდებოდი, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შემიძლია, ამგვარად სასურველი შედეგის მიღება გამორიცხულია.

**— ამის შესახებ თქვენ აღმასკომზეც თქვით და 17-წლამდელთა ნაკრების ცალკე გუნდად ჩამოყალიბება მოითხოვეთ, რათა მუშაობისთვის უკეთესი საშუალება გქონოდათ...**

— დიახ. ეს გადამწყვეტი ფაქტორია. ამასთან დაკავშირებით გვერდში გვიდგას სფფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტი. წარმოიდგინეთ, რა აჯობებს იმას, თუ ნაკრების ყველა წევრი ერთად იქნება თავმოყრილი. მათთან ყოველდღიური მუშაობის საშუალება მექნება და მჯერა, შედეგიც არ დააყოვნებს.

**— მაგრამ იმავე აღმასკომის სხდომაზე მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდით მწვრთნელების და გუნდების ხელმძღვანელების მხრიდან. ბუნებრივიცაა, ბევრი გუნდი უარს იტყვის თავისი აღსაზრდელის თვეობით სხვაგან გაშვებაზე...**

— სამაწუხაროა,რომ ასეა. იცით, რა ხდება ამ დროს, სამი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი ის არის, რომ მწვრთნელი ფიქრობს, როგორ გავუშვა ბავშვი სხვასთან, მე ხომ მასზე კარგი მწვრთნელი ვარ, რა უნდა მისცეს მანო. მეორე ფაქტორი პირველიდან გამომდინარეობს. მწვრთნელი ფიქრობს, რომ სხვის ხელში მისი ფეხბურთელი თამაშს მოუკლებს, მესამე და უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ ბევრია დარწმუნებული, თითქოს ასეთ დროს ფეხბურთელებზე ზეგავლენას მოვახდენთ, თავბრუს დავახვევთ და სამუდამოდ ჩამოვაშორებთ ძველ გუნდს. არადა, ასე ნამდვილად არაა. რამდენიმე თვით ნაკრების საკეთილდღეოთ ფეხბურთელის გაშვებაში პრობლემას ვერ ვხედავ, პირიქით, თვით ფეხბურთელისათვის პრაქტიკის თვალსაზრისით და სათამაშო კონდიციების გაუმჯობესებისთვის ნაყოფიერი იქნება ეს პროცესი. მჯერა, კლუბების მწვრთნელ-ხელმძღვანელები გაგვიგებენ და გვერდში დაგვიდგებიან. ვფიქრობ, ამ გზით წარმატებასაც მივაღწევთ.

**— ვთქვათ, ვერ გაგიგეს კლუბებმა, მაშინ რა უნდა ქნათ.**

— რჩება ძველი გზა, რამდენიმე მოკლევადიანი შეკრებებით არსებობა. ანუ ის, რაც აქამდე კეთდებოდა. რა შედეგებიც გვქონდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ამ გზით ფონს ნამდვილად ვერ გავალთ. მონაწილეობით ყოველთვის ვმონაწილეობდით, თუ მარტო ეს გვინდა, სხვა საქმეა.

**— კარგით, ვთქვათ, ერთ გუნდად ჩამოყალიბდა 17-წლამდელთა ნაკრები და ჩვენში ჭაბუკთა რომელიმე გათამაშებაში ჩაება, ასეთ დროს ბაზა ხომ გინდათ, ელემენტარულად სათამაშო მოედანი, მეტოქეს რომ უმასპინძლოთ...**

— ბუნებრივია. ჯერჯერობით ამ მხრივ არაფერი გაგვაჩნია. სტადიონის შერჩევისთვის თანხაა გადასახდელი. სფფ-ში გვითხრეს, რომ მოლაპარაკებები დაწყებულია და ალბათ სათამაშო მოედანს გამოგვიძებნიან.

**— ნაკრების გაწვრთნაში ვინ დაგეხმარებათ?**

— ალბათ, არავინ...

**— რა ბრძანეთ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ სფფ-მ 17-წლამდელებში მწვრთნელის მხოლოდ ერთი შტატი დაუშვა. მეგობარი კოლეგა ბევრი მყავს, მაგრამ ვერავის ვერ შევკადრებ იმის თქმას, ენთუზიაზმის ხარჯზე დამიდგეს გვერდით.

**— ასეთ შემთხვევაში ალბათ არც ექიმი გეყოლებათ, არც მასაჟისტი...**

— მათ გამოყოფას მხოლოდ კონკრეტული მატჩებისთვის დაგვპირდნენ...

**— ამ რანგის ნაკრებში ყველაზე დიდი პრობლემა მაინც სელექციას უკავშირდება. ბევრჯერ ამ მხრივ მუშაობა თბილისის ფარგლებს არ სცილდება.**

— დღეისათვის 17-წლამდელთა ნაკრების ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებულია. გვყავს ფეხბურთელები „ნორჩი დინამოელიდან“, 35-ე საფეხბურთო სკოლიდან, „იაროდან“, აგრეთვე ბათუმიდან, გორიდან, თელავიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძიება დამთავრებული გვაქვს, ნაკრების კარი ყველა ღირსეულისთვის ღიაა. ხშირად დავდივარ სხვა სკოლის გუნდების ვარჯიშებზე, ვხვდები მწვრთნელებს, ვაკვირდები ფეხბურთელებს... სელექციის გაუმჯობესების თვალსაზრისით ნაკრების ცალკე გუნდად ჩამოყალიბება იმიტომაც არის კარგი, რომ რეგიონებში ჩავალთ, ადგილობრივ გუნდებთან მატჩებს გავმართავთ, მერე ვნახავ, გამოიკვეთება ნიჭიერი ფეხბურთელი და მივიწვევთ. ასე რომ, სელექციის მხრივ პრობლემები ნაკლებად უნდა შეგვექმნეს.

**— გადამწყვეტ ტურნირებში ჩვენი მოზარდების გამოსვლა უმეტესწილად ერთ რამეზე მიუთითებს, ტაქტიკურ-ფიზიკური კონდიციებით საგრძნობლად ჩამორჩებიან უცხოელ თანატოლებს. ამის უპირველესი ფაქტორი მათ ფეხბურთელად აღზრდაში დაშვებული შეცდომებია...**

— მათემატიკოსი გახლავართ, გამოთვლითი მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე და ფეხბურთშიც ვიყენებ ჩემს პროფესიას. უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ცალკეულ ვარჯიშს, ცალკეულ ფინტს, მოძრაობის დახვეწას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. დღედაღამ ანატომიის, ფიზიოლოგიურ სახელმძღვანელოებს ჩავკირკიტებ, სასწავლი ბევრი რამ არის და ფეხბურთელის მონაცემები ბურთის ერთი გაგორებით არ უნდა ფასდებოდეს.

**— 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სექტემბრის ბოლოს ითამაშებს...**

— ბოსნია და ისრაელი გვყავს მეტოქეებად. კარგია, რომ მატჩები მიმოსვლით ჩატარდება, უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, აღდგენისათვის მეტი დრო გვექნება... რამდენიმე დღეში მეტოქეების მსგავსად ჩვენთვის სასურველ კალენდარს გავუგზავნით უეფას და მატჩების კონკრეტული ვადები მერე გაირკვევა.

**— მანამდე ალბათ სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობაც გექნებათ დაგეგმილი.**

— სფფ გვპირდება, რომ ზაფხულში ლიტვაში პალანგის ტურნირზე გავემგზავრებით. იქ რუსეთის, ავსტრიის, ლიტვის, ნორვეგიის, შვეიცარიის ნაკრებები მოიყრიან თავს და მათთან გაჯიბრება უთუოდ წაგვადგება პრაქტიკული თვალსაზრისით. გარდა ამისა, გაზაფხულზე გერმანიაში გამგზავრებას ვაპირებთ და ალბათ ორ საკონტროლო მატჩსაც ჩავატარებთ მასპინძლებთან. შინაურ კედლებში სომხებთან გაჯიბრებასაც ვფიქრობთ. ასე რომ, წესით და რიგით ხელცარიელნი არ უნდა დავუხვდეთ ბოსნიასა და ისრაელს.

**— დაბოლოს, 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი რას პირდება ქართველ გულშემატკივარს?**

— თუ ცალკე გუნდად ჩამოყალიბების საშუალება მოგვცეს, ანუ საწვრთნელი პროცესი როგორც მაქვს ჩაფიქრებული, ისე ჩავატარე, მინიმუმ შესარჩევ ეტაპს დავძლევთ და თავს არც ევროპის ჩემპიონატზე შევირცხვენთ.

**ბაატა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანდემიდან ბომბარდირი შემორჩა

**ნააახალწლევს** შეუდგა საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას ათგზის ჩემპიონი მშობლიურ დილმის საწვრთნელ ბაზაზე, თუმც „დინამოს" ფინანსურ-ორგანიზაციულ საკითხების მოგვარებას ხომ ჯერაც ვერ დაადგა საშველი და ფეხბურთელთა მიგრაციამაც არ დააყოვნა — მცველი რევაზ ქემოკლიძე ქუთაისის „ტორპედოს" შეუერთდა, ფორვარდმა გიგა გადელიამაც უგანა „დინამოს", რომელიც რუსეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებზე არ ჩანს კიდევ ერთი თავდამსხმელი, მეთორმეტე ეროვნულის ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილი. ის მუხლის ტკივილებს შეუწუხებია და ექიმების მეთვალყურეობით მკურნალობს. როგორც ზაზა ზირაქიშვილმა გვითხრა, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მომავალი კვირიდან ვარჯიშს შეუდგება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ზირაქიშვილი „დინამოდან" წასვლას ჯერჯერობით არ აპირებს. ასე რომ, გადელია-ზირაქიშვილის ტანდემიდან, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მეთორმეტე ეროვნულში, რევაზ არველაძის განკარგულებაში ერთი კაცი კიდევ შემორჩა.

**დავით თაგართქილაძე**



ტრავმირებული ზაზა ზირაქიშვილი და „დინამოს" ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გელა გომელაურს ნდობა გამოუცხადა. ათი წელი სულაც არ გახლავთ მცირე დრო. ამ ხნის მანძილზე გომელაურმა „ნორჩ დინამოელში" იღვაწა ექვსი წელიწადი. ოთარ გაბელიას თსუ-ში, ნახევარი წელიწადი ფეხბურთელთა სელექციას ეწეოდა. ორ წელიწადზე მეტი დრო საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკში" დაჰყო. იყო საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე. ახლა საფეხბურთო სკოლა „იraოს" ფილიალის დირექტორია ავლაბარში. ბევრისთვის მაინც მოულოდნელი იყო მთავარ მწვთნელად გომელაურის აღზევება. თუმც სახელთან ერთად მძიმე ტვირთიც რომ არის, ამაში ბევრიც დაგვეთანხმება.



გელა გომელაური

# გომელაური საქართველოს არ დაემალება

— გასულ წელს 19-წლამდელთა ნაკრებში მწვრთნელი რომ დაინიშნა, სწორედ იმ გუნდში ვიყავი მეც. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებით 1983 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა სელექცია დამევალა საქართველოს მასშტაბით.

აღმასკომზე სხვებთან ერთად ჩემი კანდიდატურაც ავტომატურად იხილებოდა. ამიტომ ჩემთვის ყოველივე მთლად მოულოდნელი არ ყოფილა. მენდნენ, დამნიშნეს და მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ისიც ვიცი, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა მაკისრია. ჩვენ საქართველოს სახელით მოგვიწევს მეტოქესთან პაექრობა.

**— თქვენ ფაქტობრივად ახალი გუნდის ჩამოყალიბება გიწევთ. დრო არცთუ ხანგრძლივი გეძლევათ, მეტოქეებად კი ინგლისი და უნგრეთი გელოდებათ.**

— ვითარება მართლაც მძიმეა. შესარჩევი თამაშები ოქტომბერში გველის, ოღონდ კონკრეტულად რომელ რიცხვებში, ჯერ არ ვიცით. შოთა ჭეიშვილის შექმნილი გუნდიდან მხოლოდ ორი მოთამაშის გამოყენება შეგვეძლება. ირაკლი სამხარაძემ და დავით ქოქიაშვილმა ხორვატიაში გარკვეული გამოცდილება კი მიიღეს, მაგრამ შესარჩევი ეტაპის დასაძლევად ორი კაცი არ კმარა.

ინგლისელები მასპინძლები არიან, ძლიერი გუნდი ეყოლება უნგრეთსაც. მოკლედ, ერთ-ერთ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით.

ბუნებრივია, ჩვენ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ვიბრძოლებთ, მაგრამ საბოლოო მიზანი ესეც იქნება — რაც შეიძლება, მეტი ღირსეული კანდიდატი მოვუმზადოთ ახალგაზრდულ ნაკრებს.

**— მიზანი ფინალურ ეტაპზე მოხვედრააო, ამბობთ, ცოტა ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის?**

— ვიცი, ბევრი იფიქრებს, გომელაურს მეტი რაღა დარჩენია, მიზნად ფინალურ ეტაპზე მოხვედრას დაისახავს და შეჯიბრების დაწყებამდეც ამას იძახებსო.

მერწმუნეთ, ბედნიერი კაცი ვიქნები, როცა წლის ბოლოს ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოს შეაფასებენ და საგრძნობი პროგრესი შეინიშნება. თანამდებობის მოყვარული არასდროს ვყოფილვარ, თუ საჭირო შეიქნა, წარმატების შემთხვევაშიც დავწერ განცხადებას და გადავდგები.

**— 8 თვე მაინც მცირე დროა ახალი გუნდის შესაქმნელად.**

— სხვა გზა არ არის; ვეცდებით, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს დრო. დიდ ყურადღებას დავუთმობთ სასელექციო სამუშაოებს. ყველა ნიჭიერი მოთამაშის ავანჩავანი გვეცოდინება. ეს ისეთი ასაკია, რომ შეიძლება უცბად მოუმატოს ფეხბურთელმა. ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი 1983-84 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა დაოსტატებას.

უკვე გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც შეიძლება ვენდოთ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ძიება გრძელდება და გარწმუნებთ, ოქტომბრის თვეში ნაკრები საუკეთესოთა შორის საუკეთესოებით დაკომპლექტდება.

**— სამუშაო გეგმა თუ ჩამოაყალიბეთ?**

— გეგმა არსებობს, მაგრამ ჯერაც დასახვეწია. ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია. მაგალითისთვის მოგახსენებთ, რომ ყოველ თვეში ხუთდღიანი შეკრების მოწყობა გვაქვს ჩაფიქრებული. საჭიროა საკონტროლო მატჩები, საერთაშორისო ამხანაგური თამაშები. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, რისი საშუალება გვექნება.

მე მთავარი მწვრთნელი ვარ, საბოლოოდ ჩემი შეხედულებისამებრ გადავწყვეტ ყველაფერს და პასუხსაც მე ვაგებ, მაგრამ ამავდროულად მზად ვარ, ყველა სპეციალისტის შენიშვნა და დახმარება მივიღო. სიამოვნებით ვითანამშრომლებ ყველასთან და იქნებ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეო საქმეებიც გავაკეთოთ.

**— აღმასკომის სხდომაზე თქვენს მიერ შემოთავაზებული პირველივე წინადადება საკმაო წინააღმდეგობას წააწყდა. თქვენ ნაკრების კანდიდატთა ერთად თავმოყრას და რეგიონულ ლიგაში უკონკურსოდ თამაშს უჭერდით მხარს.**

— მათ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგეს. მე არ ვგულისხმობდი ფეხბურთელებს, რომლებიც უმაღლეს და პირველ ლიგაში თამაშობენ. ცხადია, ისინი კლუბებში უკეთ მოემზადებიან. საუბარი იყო 1983-84 წლებში დაბადებულ იმ მოთამაშეებზე, რომლებიც ჯერაც საბავშვო ლიგაში ბურთაობენ. აზრად არასდროს მომსვლია, რომელიმე კლუბისთვის ფეხბურთელი წამეგვარა, უბრალოდ ვფიქრობ, რომ რეგიონულ ლიგაში უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ბავშვთა ლიგაში.

ხოლო ნაკრების ის წევრები, რომლებიც უმაღლეს და პირველ ლიგაში თამაშობენ, ჩვენთან შეკრებების დროს გამოცხადდებოდნენ. სხვათა შორის, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვეს „ვიტ ჯორჯიამ", საფეხბურთო სკოლა „შევარდენმა", „ნორჩმა დინამოელმა" და საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკმა". მათ ოთახებიც კი გამოგვიყვეს სამუშაოდ. მათი დახმარებით არ გვექნება სათამაშო და სავარჯიშო პრობლემები.

**— საერთაშორისო თამაშებიახსენეთ. რამდენად რეალურია ყოველივე?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამისთვის ყველა ღონეს იხმარს. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება ბევრი მატჩი ჩავატაროთ საკუთარი ქომაგის თვალწინ. ქართველ გულშემატკივარს ნაკრებს ვერ დავუმალავ. ქომაგმა უნდა იცოდეს გუნდის რეალური ძალა.

**— მეტოქეებზე თუ მოგეპოვებათ ინფორმაციები?**

— შეძლებისგვარად ამ მხრივაც ვმუშაობთ. დავაკვირდებით ორი წლის წინანდელ 16-წლამდელთა გამოსვლებს. ძირითად საშუალებად ინტერნეტს გამოვიყენებთ და ვეცდებით, მეტოქეებზე რაც შეიძლება მეტი შევიტყოთ.

**— დღეს რა შეგიძლიათ გვითხრათ 19-წლამდელთა ნაკრების შესახებ?**

— მოდით პირდაპირ ვთქვათ. საერთო მონახაზში 24 ფეხბურთელია და ჩათვალეთ, რომ მეკარე და დაცვა არა გვყავს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა შუა ხაზში. თავდამსხმელებიც გამოიკვეთნენ, მაგრამ... კარგით, უნგრელებს შევეშვათ, ინგლისია მეტოქე, მცველებმა თავით თამაში ხომ უნდა შეძლონ. დღეს არ ვიცით, ვინ ითამაშებს ლიბეროს პოზიციაზე. ასეთია საერთო სურათი.

**— ეტყობა, ლიბეროთი თამაშს ანიჭებთ უპირატესობას...**

— სულაც არა, ოპტიმალურ ვარიანტად ერთ ხაზზე მოთამაშე ოთხი მცველი მიმაჩნია, მაგრამ ვიცი, რომ ამას შეგირდები ვერ შემისრულებენ. ამიტომაც ვეძებ ლიბეროს. ვნახოთ, რვა თვეში იქნებ რამე შეიცვალოს. შემსრულებლებს რომ შევიგულებ, სათამაშო სქემაზე მერე ვისაუბროთ.

**მამუკა ძვანტალიანი**

# ზღვისპირას ზღვიდან ზღვამდე

**სეზონთშორისში** მეორე საკონტროლო მატჩი გამართა ზღვისპირა გრიგოლეთში შეკრებაზე მყოფმა „კოლხეთმა".

გუშინ კოლხთა მეტოქე, ასევე ზღვისპირელი ასლან ბალაძის „ბათუმი" გახლდათ. ბათუმელთა ერთ გოლს, კოლხებმა მიხეილ ქობულაძის წყვილი, დავით კვირკველიას და გიორგი კრასოვსკი თითო ბურთი მოაყოლეს და შეხვედრაც 4:1 მოიგეს.

სოსო ფილიამ, „კოლხეთი" ასე ათამაშა. კარში — ქვაჩახია, დაცვაში: მარჯვნივ ქუნთელია, მარცხნივ ფანჩულიძე, ცენტრში ლიბერო ტორჩინავა, სტოპერი გიორგი ნოზაძე. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე კვირკველია, მარჯვენაზე კრასოვსკი იყვნენ, საყრდენად ქობულაძე გამწესეს, ზაველ ღაღანიძემ კი გამთამაშებლის ფუნქცია იკისრა. თავდასხმაში ელდარ გვასალიას პარტნიორობას ახალწვეული შალვა მუმლაძე უწევდა. ფილიას არავინ შეუცვლია. მცირედი ტრავმის გამო ვერ ითამაშა ჰამლეტ წივწივაძემ. გუშინდელი თამაშის შემდეგ მწვრთნელმა გუნდიდან დაითხოვა გასინჯვაზე მყოფი გიორგი ნოზაძე. მიზეზი: ფილიას თავი ვერ მოაწონა.

ახლა „კოლხეთი" კიდევ ორ თამაშს გამართავს, ზეგ იმავე „ბათუმს", ოთხი დღის მერე კი თბილისურ თსუ-ს დაუპირისპირდება. სტუდენტები ყვავილნარში 22 იანვარს აპირებენ ჩასვლას. 26 ან 27 იანვარს „კოლხეთი" 24-25 ფეხბურთელით ბულგარეთის ნაცნობ ზღვისპირა ქალაქ ნესებრს ეწვევა და მზადების მეორე ორკვირიან ეტაპსაც იქ გაივლიან.

**გიორგი ვაჟაძიძე**




☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# FAIR PLAY, ბატონებო!

**საფეხბურთო** მინდვრებზე რაინდულ და ღირსეულ ქცევას ამ თამაშის დასაბამიდან ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა და დაფასება. ფიფამაც იფიქრა, იფიქრა და 1980 წლიდან ოფიციალურად წამოიწყო FAIR Play-ის კომპანია, რომელიც მხოლოდ სატრანსპარანტო აფიშებსა და პლაკატებს როდი მოიცავს. FAIR Play-ის ფიფამ ათი მცნება შეუთავსა, რასაც პროპაგანდის საფეხბურთო მოხელეები, ყოფილი და მოქმედი ცნობილი ფეხბურთელები, მწვრთნელები, გულშემატკივრები უწევენ... ფიფას საქველმოქმედო პროგრამებსაც ლაიტმოტივად გასდევს FAIR Play. რაინდულად მოთამაშე ფეხბურთელები და გუნდები სპეციალური პრიზებით ჯილდოვდებიან, მათ პრივილეგიები ენიჭებათ. ერთი სიტყვით, სადაც ფიფაა, იქ FAIR Play-ის პრინციპებია საზოგადოების წესი და კანონი.

მაგრამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ერგება საფეხბურთო საზოგადოება FAIR Play-ის ათ მცნებას და ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ზეპ ბლატერმა სახელდახელო მიმართვა გაუგზავნა ამ ორგანიზაციის წევრ ასოციაციებს და კონფედერაციებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სფფ-საც, რომელსაც ყოველგვარი შესწორება-შემოკლების გარეშე გთავაზობთ.

FAIR Play-ის პრინციპების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ გახშირდა საფეხბურთო მოედნებზე და მის გარეთ უხეშობის შემთხვევები, მივმართავ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებას, ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს, მასმედიას, ფეხბურთით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას.

ჩემი მიმართვის მიზეზი ასეთია:

1. ფეხბურთელებმა უნდა შეწყვიტონ სახიფათო თამაშის დემონსტრირება და მსაჯებთან კამათი;

2. მწვრთნელებმა უნდა მოითხოვონ ფეხბურთელებისგან რიდი, მოთმინება და ლოიალური დამოკიდებულება მსაჯებისადმი;

3. გულშემატკივრებმა უნდა ისიამოვნონ ფეხბურთისგან და არ უნდა გამოავლინონ ძალადობა სტადიონებზე და მის გარეთ;

4. კლუბების ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს თავისი პასუხისმგებლობა და განახორციელონ თავიანთი საქმიანობა თავიანთ მოვალეობასთან შესაბამისობაში;

5. მასმედიამ უნდა დაგმოს სპორტში ძალადობის გამოვლინების ნებისმიერი ფაქტი და ყოველმხრივ წაახალისოს კორექტული მოთამაშეები.

ეს მიმართვა მიმართულია მსაჯებისადმი, რომლებიც მთლიანად არიან პასუხისმგებელნი წესრიგზე და კანონიერებაზე თამაშის დროს. მათზეა დამოკიდებული სპორტული სულის შენარჩუნება .და საფეხბურთო მატჩებისას სათამაშო განწყობილების შექმნა.

დასასრულს, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ფეხბურთელების საპასპორტო მონაცემების ფალსიფიცირების ფაქტებს. ფიფა გმობს ყველა ასეთ გამოვლინებას.

**დავით თაგართქილაძე**



ქსეც თავაზიანი თამაში: ფაბიო კანავარო კუნთდაჭიმულ თემურ ქეცბაიას ეხმარება

## მუქთა სერვისი აუდიო-ვიდეო მეთოდით

**ვიმეგობროთ**, ასე უფრო იოლია სიკვდილი — მოიშველია სფფის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკომ ვასილ შუკშინის სიტყვები და ახლა ვიდეოკასეტების მეშვეობით აპირებს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების, კერძოდ, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების განათლებას.

მილჩენკო და მისი კომიტეტი მზად არიან, უსასყიდლოდ ჩაატარონ აუდიო-ვიდეო მეცადინეობები. ფიფა-უეფას საგანგებოდ გამოუგზავნია ფირები, რომლებშიც 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის თამაშებიდან განხილულია ფიფას მიერ შემოტანილი ყველა სიახლე თამაშის წესებში. „გთხოვთ, 25 იანვრამდე გვაცნობოთ თქვენთვის სასურველი თარიღი მეცადინეობის ჩატარებისთვის" — ნათქვამია ანატოლი მილჩენკოს კლუბებისადმი ოფიციალურ მიმართვაში. ინიციატივას სამი გუნდი უკვე გამოეხმაურა — სწავლაგანათლებაში პიონერობა თსუმ, „ვიტ ჯორჯიამ" და „ლოკომოტივმა" მოისურვეს.

**დავით თაგართქილაძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

**დღეიდან თებერვლის ბოლომდე: ყოველდღიური ცვლილებები ქართულ სატრანსფერო ბაზარზე და უმაღლესლიგელთა ყველა საკონტროლო ამხანაგური მატჩი**

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | აბრამიძე, გონჩაროვი, პარამონოვი (სკონტო, ლატვია), ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო) | გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე (ტორპედო), გადელია (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ტრავმირებული იყო), მამარდაშვილი, გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), ჩოხელი (ბათუმი), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მალლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), კ. ვადაჭკორია (თსუ), ვართაგავა (ხობი) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მალლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი (გორდა), ჩოხელი (ვიტ ჯორჯია), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (ტავრია, უკრაინა), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია, ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), სიხარულიძე, ქერაშვილი, სოხაძე (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ) | კოლხეთი 1:4 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), თ. მეტრეველი (არ თამაშობდა) | დინამო 3:4 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | | ა. ბოკერია, ერაძე (თსუ), რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი) | დინამო 0:4 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლამშვილი* | მამარდაშვილი, გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია, ერაძე (დილა), კ. ვადაჭკორია (კოლხეთი), გუგუნავა (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გოგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**



პოლ სქოულზი

# ფული და სიყვარული

სეზონის ბოლოს შვიდი წელი შესრულდება, რაც პოლ სქოულზი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს, მისი კონტრაქტი კი სწორედ შვიდწლიანია და დროა, მან ახალზე იფიქროს.

„მირორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სქოულზი ამბობს, საფიქრალი არაფერი მაქვს, რადგან „მანჩესტერის“ გარდა არსად ვაპირებ თამაშსო. გაფიქრებაც კი არ შემიძლია, რომელიმე სხვა გუნდის მაისურა ჩავიცვა და ამიტომ ახლავე მზად ვარ, ჩემს კლუბთან ახალი კონტრაქტი გავაფორმოო.

თითქმის ყველაფერი იდეალურადაა, თუმცა სქოულზის ერთმა ფრაზამ „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობა უნდა ჩააფიქროს. ფეხბურთელმა თქვა: „როცა კლუბთან პირველ, შვიდწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, იქ ისეთი პუნქტიც იყო, რომ შემეძლო, სამი წლის შემდეგ ხელფასის გაზრდა მომეთხოვა“.

სამი წელიც გავიდა და შვიდიც, მაგრამ პოლ სქოულზს არცთუ დიდი ხელფასი აქვს (ცხადია, როი კინთან შედარებით). ჰოდა, ახალ კონქრაქტში ძველ ხელფასს რამდენიმე ათასიც თუ არ მიუმატეს, სქოულზს „მანჩესტერზე“ ეგებ გულიც აუცრუვდეს.

ისე, ერთ კაცს ხელფასს როგორ ვერ გაუზრდიან, მაგრამ რიგიც რომ გვარიანი დამდგარა? დევიდ ბექემი, დუაიტ იორკი, ენდი კოული და რაიან გიგზი — ყველანი ხელფასის მომატებას ელიან.

# პატარა რონალდო წმინდა ჟერმენთან

გუშინ „პარი სენ ჟერმენის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლუბმა დაასრულა მოლაპარაკება ბრაზილიურ „გრემიოსთან“ და რონალდინიოსთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კონტრაქტი 2001-2002 წლების სეზონიდან შევა ძალაში, ფინანსური მხარე უცნობია.

„პარი სენ ჟერმენი“ დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი — მისთვის ჩემპიონატში მე-11 ადგილზე ყოფნა კატასტროფის ტოლფასია და გამოსავალს ეძებს. ჯერ მწვრთნელი შეიცვალა — ფილიპ ბერჟეროს ადგილი ლუის ფერნანდესმა დაიკავა, მაგრამ ამას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. ახლა პარიზელები შეტევაში რონალდინიოანელკას წყვილზე ამყარებენ იმედს, თუმცა, როგორც თავში ვთქვით, ეს მხოლოდ მომავალი სეზონიდან მოხერხდება.

რონალდინიო, მისი სრული სახელი რონალდო დე ასის მორიერაა, ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია და ოცი წლისა ბლომად ტიტულების მფლობელია — 1997 წელს ეგვიპტეში 17-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ „კოპა ამერიკა“ მოიგო. მაშინ ვენესუელას კარში გატანილმა მისმა ულამაზესმა გოლმა ხალხს გარინჩა გაახსენა. რონალდინიომ სექტემბერში სიდნეის ოლიმპიადაზეც ითამაშა, ეროვნულ გუნდში დებიუტი კი 1997 წელს ლატვიის ნაკრების წინააღმდეგ ჰქონდა. ის ორი წლის წინ ექვსი გოლით კონფედერაციის თასის ბომბარდირიც გახდა.



რონალდინიო პარიზში მიდის

ისე, „პარი სენ ჟერმენი“ უმეტესწილად ბრაზილიელთა გადაბირებითაა დაკავებული. თავის დროზე იქ რაი, რიკარდო და ლეონარდო თამაშობდნენ, ხოლო კრისტიანი ახლაც იქაა.

# სტივმა თუ მოინდომა...

სტივ მაკმანამანის ხასიათის ამბავი მოგეხსენებათ: რამეს რომ გადაწყვეტს, აუცილებლად უნდა აასრულოს. აგერ, სეზონის დაწყების წინ „რეალში“ თქვეს, მაკმანამანი აღარ გვჭირდება, უნდა გავყიდოთო და იმდენი ქნა, თავი დაატოვებინა. ახლა კიდევ მას ინგლისის ნაკრებში დაბრუნების სურვილი ჰკლავს და ვინძლო ესაც მოახერხოს.



სტივ მაკმანამანი

პრიმერადივიზიონის წინა ტურში მაკმანამანმა „ოვიედოს“ ულამაზესი გოლი გაუტანა — ისეთი, რომელმაც მთელი „სანტიაგო ბერნაბეუ“ ფეხზე წამოაყენა და დიდხანს აკვრევინა ტაში. ასეთი ოვაცია მადრიდელებს არასდროს გაუმართავთო, თქვა ინგლისელმა და სვენ გორან ერიკსონის გასაგონად დაუმატა, ახლა საუკეთესო ფორმაში ვარ და, რაც მთავარია, ვისენტე დელ ბოსკე სათადარიგოთა სკამს კი არ მახეხინებს, მათამაშებსო.

ინგლისის ნაკრებს უახლოესი შეხვედრა თებერვლის ბოლოს აქვს, როცა ამხანაგურ მატჩში ესპანეთს გაეჯიბრება. ამაზე მაკმანამანმა თქვა: „ესპანეთთან თამაში ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება, იქ ხომ ჩემი მეგობრები რაული, იერო და ელგერა არიან. ერიკსონთან ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ვფიქრობ, ნაკრებში აუცილებლად მიმიწვევს“.

# რაზე ჩივის თურქი?

## დღეს თერიმი ჩეკი გორის შეხვდება

თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი „ფიორენტინას“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორისთან შეხვედრას აპირებს, რათა ფლორენციაში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი გადაწყვიტოს. როცა მან შარშან „გალათასარაის“ უეფას თასი მოაგებინა და სეზონის დაწყების წინ „ფიორენტინა“ ჩაიბარა, ახალ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახლა ჩეკი გორი რას აპირებს, ჯერჯერობით გაურკვეველია. გაუგრძელებს კი იგი თურქს კონტრაქტს? ამის გარკვევას თერიმი სწორედ მომავალ შეხვედრაზე შეეცდება. „მსურდა, პრეზიდენტს ჯერ კიდევ წინა ხუთშაბათს შევხვედროდი, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. აქ ბევრი რამ უნდა გადაწყდეს“ — განაცხადა თურქეთის ნაკრების მწვრთნელყოფილმა.



ფათიჰ თერიმი

საქმე ის გახლავთ, რომ თურქის პოპულარობა ფლორენციაში დღითიდღე იზრდება. გუნდი ბოლო ხანს ჩინებულ შედეგს უჩვენებს — ბოლო 6 თამაშში 14 ქულა მოაგროვა და სერია A-ში მესამე პოზიციამდე აიწია. წინა ტურში თერიმის შეგირდებმა ძაკერონის „მილანი“ წააზდინეს — შინ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ჩეკი გორის პოპულარობაზე კი იგივე არ ითქმის. მედიის მაგნატ პრეზიდენტს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ. განსაკუთრებით იმაზე უბრაზდებიან, ამ ზაფხულს გუნდს გაბრიელ ბატისტუტა რომ ვერ შეუნარჩუნა და გაყიდა.

თავად თერიმი გრძელვადიანი კონტრაქტის მომხრეა, მაგრამ ამასთანავე ამბობს, გუნდში სატრანსფერო პოლიტიკა მე უნდა დამიქვემდებარონო: „მე არ ვითხოვ მოთამაშეებს, რომელთაც ასტრონომიულ თანხად აფასებენ. უბრალოდ, მსურს ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენ სტილს მოერგებიან. მათ ჩემთვის არ ვყიდულობ. ეს გუნდის და მისი მომავლისთვისაა საჭირო. არჩევანი პირადად უნდა გავაკეთო, სხვანაირად არაფერი გამოვა“.

თერიმი იქვე გამოტყდა, რომ სეზონის დაწყების წინ „ფიორენტინასთან“ ორწლიანი კონტრაქტი სურდა, მაგრამ კლუბმა საბოლოოდ მხოლოდ ერთწლიანი შეთანხმება გაუფორმა.

თურქი ფლორენციელთა ხელმძღვანელობაზე უკმაყოფილოა — ზოგიერთ ისეთ ინფორმაციას ახმაურებენ, სულაც არაა საჭიროო. „ზოგიერთი პირადი საკითხის გახმაურება არ შეიძლება, მაგრამ მე უკვე არაფერი მიკვირს, აქ გაუმხელელი არაფერი რჩება. ხანდახან პრესა ჩემს მიზნებს ამხელს. გამოდის, რომ კლუბს არ სურს, ზოგიერთი ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახოს“.

ჩეკი გორისა და თერიმის შეხვედრა სავარაუდოდ დღეს უნდა შედგეს. თურქი ამბობს, მანამდე არაფერს ვიტყვი, მერე კი ვნახოთო.

„შეხვედრამდე რაიმეზე კონკრეტულად საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მერე ყველაფერს ვიტყვი. ისე, უამრავი შესაძლებლობა არსებობს და ალბათ მალე ყველაფერი გაირკვევა“ — ეს თქვა ბოლოს თერიმმა.

ნიკა შუღლაძე



REUTERS ფოტო

# რა გქვიათ თქვენ?

გსურთ გახდეთ ამ სიმპათიური თოჯინების ნათლია? მაშინ დაძაბეთ გონება და თუ ამათთვის ორიგინალურ სახელებს შეარჩევთ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტს შეატყობინეთ. სრულიად შესაძლოა, აზიელთა მიერ გამოცხადებულ კონკურსში სწორედ თქვენ იმარჯვოთ. სრული სიცხადისთვის გეტყვით, რომ გუშინწინ ეს სამი ცხოველუკა კორეა-იაპონიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ თილისმად გამოცხადდა, თუმცა სახელის დარქმევა ორგანიზატორებმა გულშემატკივრებს მიანდეს. „ნათლიათა კონკურსი“ 28 თებერვლამდე გასტანს.

# ბაიერნი ბაიერნით იფრენს



გერმანულმა სუპერკლუბმა მიუნხენის „ბაიერნმა“ ავიაკომპანია „აეროლოიდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ბავარიული კლუბის მფლობელობაში ამ კომპანიის ორი თვითმფრინავი — „A 320“ და „A 321“ გადავიდა.

ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ „ბაიერნი“ მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი გახდა, რომელსაც თავისი თვითმფრინავი ჰყავს.

„A 321“ მოდელის თვითმფრინავი 210 მგზავრისთვისაა განკუთვნილი, „A 320“ კი 179 ადამიანს იტევს. ორივე თვითმფრინავს მიუნხენური კლუბის ემბლემა დაამშვენებს, ერთ-ერთი კი „ბაიერნის“ სახელითაც მოინათლა.

„ეს თვითმფრინავები სულ ახლახან საგანგებოდ ჩვენთვის დამზადდა. ისინი სრულიად შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს. პირველი კლუბი ვართ, ვისაც ასეთი რამ აქვს“ — აღნიშნა მიუნხენელთა პრეს-ატაშე მარკუს ჰიორვიკმა.

მიუნხენელები ამჟამად ესპანეთის საკურორტო ქალაქ მარბელაში იმყოფებიან შეკრებაზე (ცნობისთვის: ამ ქალაქის მერი დიდი ხნის განმავლობაში მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხუსუს ხილი გახლდათ, რომელსაც ბევრი დარღვევა აღმოუჩინეს და ერთი ხანობა ციხეშიც აყურყუტეს). შესაძლოა, სწორედ იქიდან წამოსვლისას ისარგებლონ ბავარიელებმა საკუთარი თვითმფრინავით. ისე, როგორც ჰიორვიკმა თქვა, „ბაიერნი“ „ბაიერნით“ მხოლოდ საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ივლის, გერმანიის ტერიტორიაზე კი არ იფრენს.



ბეკენბაუერი ახალ თვითმფრინავში

მოემსახურებიან თუ არა მიუნხენური კლუბის ემბლემით დამშვენებული თვითმფრინავები ჩვეულებრივ მგზავრებს, ეს ამბავი მთლიანად „ბაიერნის“ ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია.

ვანო ოქროპირიძე

# ჯალმინია დასაჯეს

გუშინ ვწერდით, რომ დეპორტივოელი ჯალმინია პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში უწესოდ მოიქცა — ჯერ იყო და მატჩის მიწურულს ვალენსიელ დავიდ ალბელდაზე გაიწია, ხოლო გასახდელში თანაგუნდელ ვიქტორს გაარტყა, გაშველება როგორ გაბედეო.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და ჩხუბისთავს განაჩენი გამოუტანა: 150 ათასი პესეტა (846 დოლარი) ჯარიმა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

„დეპორტივოს“ მომდევნო მატჩები „მალაგასთან“ და „ბილბაოსთან“ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სენტ ეტიენს და სენტეტიენელებს განაჩენი გამოუტანეს

16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის იურიდიულმა კომიტეტმა განაჩენი გამოუტანა პირველი დივიზიონის „სენტ ეტიენის" ორ ლეგიონერს — უკრაინელ მეკარე მაქსიმ ლევიცკისა და ბრაზილიელ თავდამსხმელ ალექსს. დისციპლინარების გადაწყვეტილებით, ამ ფეხბურთელებს ოთხი თვით აეკრძალათ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა.


მაქსიმ ლევიცკი

ამის მიზეზი „სარბიელის" მკითხველმა უკვე იცის — ცოტა ხნის წინ ამ მოთამაშეებს ყალბი პასპორტები აღმოუჩინეს. ლევიცკის ბერძენად მოჰქონდა თავი, ალექსი კი პორტუგალიელობას იბრალებდა. ამ საბუთების საფუძველზე ისინი ევროკავშირელებად ითვლებოდნენ და შესაბამისად, მათზე არც არაევროკავშირელთათვის დაწესებული ლიმიტი ვრცელდებოდა, რომლის მიხედვითაც თითოეულ გუნდს უფლება აქვს, მინდორზე ერთდროულად მხოლოდ სამი ასეთი ფეხბურთელი ჰყავდეს.

საქმე დეკემბრის დასაწყისში გასკდა და მას შემდეგ საფრანგეთში დიდი გამოძიება დაიწყო. როგორც ვარაუდობენ, მარტო პირველი და მეორე დივიზიონის კლუბებში 78 ასეთი ფეხბურთელი მოიძებნება, რომელთა ევროკავშირელობაც ძალიან საეჭვოა. რამდენიმე მათგანი უკვე ამხილეს კიდეც.

ლევიცკისა და ალექსს თავიდან საქმე ძალიან ცუდად ჰქონდათ. საფრანგეთის პროკურატურამ მათი დაპატიმრებაც ბრძანა. ლევიცკი 48 საათი პატიმრობაშიც იყო, თუმცა მერე გამოუშვეს, ბრაზილიელმა კი სამშობლოში გაქცევით უშველა თავს. არ არის გამორიცხული, ფრანგმა სამართალდამცავებმა მათი საქმე ხელახლა გამოიძიონ. ეს თუ არ მოხდა, ლევიცკი, ფაქტობრივად, დაუსჯელი დარჩება, რადგან იგი ათიოდე დღის წინ მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა, სადაც თამაშს ფიფა და უეფა არ უკრძალავენ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით).

მათგან განსხვავებით, სერიოზულად დაზარალდნენ „სენტ ეტიენი" და მისი გენერალური მენეჯერი ჟერარ სოლერი. სოლერს კომისიამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, რადგან კომისიის ვარაუდით, საბუთების გაყალბებაში ყველაზე დიდი წვლილი მას მიუძღვის, თანაც სწორედ მან გააფორმა კონტრაქტები ლევიცკისა და ალექსთან.

მკაცრად დაისაჯა „სენტ ეტიენიც". მას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ შვიდი ქულა ჩამოაკლო, რაც იმას ნიშნავს, რომ აქამდე 30 ქულით მეთერთმეტე ადგილზე მყოფ სენტეტიენელებს ახლა 23 ქულა ექნებათ და მეთექვსმეტე საფეხურზე დაქვეითდებიან, ანუ აუტსაიდერებში გაერევიან. იმავე სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, ლევიცკის, ალექსსა და „სენტ ეტიენს" აპელაციის შეტანა შეუძლიათ. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, კლუბი ამას აპირებს კიდეც. აი, გუნდის გენერალურ მენეჯერ ჟერარ სოლერისთვის გამოტანილი განაჩენი კი კასაციას არ ექვემდებარება.

ფრანგი დისციპლინარების მორიგი სხდომა 30 იანვარს შედგება. მასზე „მონაკოს" ჩილელ მცველ პაბლო კონტრერასსა და „მეცის" კოლუმბიელ მეკარე ფარიდ მონდრაგონზე იმსჯელებენ. ცხადია, მათაც პასპორტების გაყალბებაში ედებათ ბრალი.

ისე, მონდრაგონი „მეცის" ხელმძღვანელობამ უკვე დასაჯა — მას 14 მარტამდე მოუწევს დასვენება. ამ დღეს კი კოლუმბიელის საქმეს სასამართლოში გაარჩევენ და მისი ბედიც ამის მერე გაირკვევა.

მონდრაგონი ფრანგულ კლუბში 1999 წელს გადავიდა და ბერძნული პასპორტიც მაშინ მიიღო. თავად კოლუმბიელს რომ ჰკითხოთ, ყველაფერი წესების დაცვით მოხდა: „სალონიკში რა დოკუმენტებიც მომთხოვეს, ყველა მივიტანე და პასპორტიც ისე ავიღე" — თავს იმართლებს ფარიდი.

მშვიდადაა „მეცის" პრეზიდენტი კარლო მოლინარიც. „ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია, მინდორზე სამ არაევროკავშირელზე მეტი ფეხბურთელი არასოდეს გვყოლია" — ამბობს იგი, თუმცა თუ მეცელებს დანაშაული დაუმტკიცდათ, მკაცრი სასჯელი არ აცდებათ. ლიგის პრეზიდენტ ჟერარ ბურგოინის სიტყვებიც ამას მოწმობს: „კარგია, რომ ასეთი განაჩენი გამოვიტანეთ. თუ გვინდა ეს ქაოსი აღვკვეთოთ, მომავალშიც ასე უნდა ვიმოქმედოთ."

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# ვან ნისტელროი: უკან მომავლისკენ

ᲪᲮᲠᲐᲗᲕᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ ვარჯიში განაახლა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ მცირე დატვირთვებით, რადგან ექიმები მუხლის ურთულესი ტრავმის ხელმეორედ გამიზეზებას ერიდებიან. 24 წლის ფეხბურთელი გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვარჯიშობს და ინდივიდუალურად, მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ ემზადება. „ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, მაგრამ ბოლომდე არ გამოვჯანმრთელებულვარ. მაიმედებენ, რომ მომავალ სამ კვირაში უკვე გუნდთან დავიწყებ ვარჯიშს, ხოლო როდის ვითამაშებ, ჯერჯერობით არ ვიცი" — განუცხადა „პსვ ეინდჰოვენის" ფორვარდმა ჰოლანდიურ ტელევიზიას.


რუუდ ვან ნისტელროი

შეგახსენებთ, რომ შარშან მარტში ტრავმამ ვან ნისტელროის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაში შეუშალა ხელი. მაშინ ფორვარდი ძალიან ძლიერად თამაშობდა — „პსვ ეინდჰოვენის" შემადგენლობაში თითქმის ყველა მატჩში გოლი გაჰქონდა, ხანდახან სამიც და ოთხიც, ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც იყო. პერსპექტიული ფორვარდით სერ ალექს ფერგიუსონი დაინტერესდა, იგი „ოლდ ტრეფორდზე" მიიწვია და თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედს" მის სანაცვლოდ ჰოლანდიელებისთვის 27 მილიონი დოლარიც უნდა გადაეხადა, მაგრამ ექიმებმა ნისტელროოი გასინჯეს და დაასკვნეს, რომ მას მუხლის ტრავმა აწუხებდა. ტრანსფერიც ჩაიშალა.

ვან ნისტელროოი სამშობლოში დაბრუნდა და ცოტა ხანს „პსვ ეინდჰოვენში" კიდევ ითამაშა, მაგრამ ერთ თვეში მუხლის მყესები უკვე სერიოზულად დაიზიანა და ვარჯიში ველარ გააგრძელა. თავდამსხმელი ჰოლანდიის ნაკრების მაშინდელ თავკაცს ფრანკ რაიკაარდს ევრო 2000-ზე სათამაშოდ ჰყავდა შეგულებული, მაგრამ რთულმა ტრავმამ ფეხბურთელს ეს ტურნირი გამოატოვებინა.


ერიკსონის თანაშემწე მანჩინის ლესტერში კოსტუმის გახდას უპირებენ

# ბარეზი არავის გჭირდებათ?

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲔᲚᲗᲐ მიდრეკილება გადაბერებული იტალიელების მიმართ საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, თუმცა „ლესტერ სიტიმ" და მისმა მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა ყველას აჯობეს: გუშინ ამ კლუბთან მოსალაპარაკებლად ბრიტანეთს... „ლაციოში" სვენ გორან ერიკსონის ამასწინანდელი თანაშემწე, 36 წლის რობერტო მანჩინი ჩაფრინდა. სწორედ შვედის, აწ უკვე ინგლისის ნაკრების თავკაცის რჩევით შეაჩერა ტეილორმა მანჩინიზე არჩევანი — თავდასხმა თუ არ გავაძლიერეთ, ევროპაში გასასვლელი ადგილისთვის ბრძოლა გაგვიჭირდებაო.

ერთ დროს მართლაც უბადლო მანჩინი ამჟამად თავისუფალი აგენტია, ვინაიდან „ლაციოსთან" კონტრაქტი იანვრის დასაწყისში დაუმთავრდა. ვარაუდობენ, რომ „ლესტერ სიტიში" იგი მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე დარჩება.



# დაუმი ისევ ნაკრებზე ფიქრობს

ᲔᲠᲗᲘ კვირის წინ დაუმის გარშემო ატეხილ სკანდალში ყველაფერი გაურკვეველი იყო. არავინ იცოდა, ვინ იყო მართალი — მწვრთნელი თუ ის ხალხი, ვინც კრისტოფს ღმერთმა უწყის, რას აღარ აბრალებდნენ.

დღეს ბევრი რამ ნათელია. დაუმმა გასულ პარასკევს თავისი პირით აღიარა, რომ კოკაინი და ნარკოტიკები მისთვის უცხო ხილი სულაც არ არის. მწვრთნელი სამი თვე უარყოფდა ამას, ათასი არგუმენტი მოჰყავდა, თავის უსამართლობას და „მამა აბრამის ბატკნობას" ამტკიცებდა, სამშობლოში ჩასვლის წინ ერთი ამბავი ატეხა, პრესკონფერენცია უნდა მოვიწვიო და ყველას თავისი მივუზღოო. მერე დაუმი გერმანიაში დაბრუნდა, ჟურნალისტები შეყარა და მათ წინაშე თავისი დანაშაული აღიარა, თანაც მთელი პრესკონფერენციის მანძილზე ღიმილი არ მოშორებია სახიდან, ხანდახან არც გულიან სიცილს ერიდებოდა.

ეჰე, ამას დაუსტვენიაო — შეიცოდა კრისტოფი თანამემამულეთა ერთმა ნაწილმა; ხომ არ გაგიჟდა — კითხულობენ მეორენი. ნარკოტიკს თუ მიიღებთ, თქვენც მას დაემგვანებით — ანტინარკოტიკულ კამპანიას ეწევიან მესამენი.

და მართლაც, რა მოუვიდა დაუმს? ამაზე პასუხს ამაოდ ელიან. ეკითხებიან ექიმებს, ფსიქოლოგებს, ატარებენ გამოკითხვებს, მაგრამ ზუსტად ვერავინ ვერაფერს ამბობს. ყველაზე გავრცელებული ვერსია ისევ ნარკოტიკებს უკავშირდება. გონება კოკაინმა დაუბინდა, მისი ზემოქმედების ქვეშაა და რას აკეთებს, თავადაც აღარ იცის — ასეთია უმრავლესობის აზრი, რომელსაც კრისტოფი, ცხადია, არ იზიარებს. თქვა კიდეც, კოკაინზე დამოკიდებული არასოდეს ვყოფილვარო.

დაუმი ახლა რეაბილიტაციაზე ფიქრობს და ძველი იმიჯის დაბრუნება განუზრახავს: ჯერჯერობით დასვენებას ვაპირებ, მერე კი სამწვრთნელო კარიერა უნდა გავაგრძელოო — ამბობს. ამას მომავალი სეზონიდან გეგმავს, თანაც საზღვარგარეთ. აბა, ბუნდესლიგის კლუბებს მისი გაგონებაც არ სურთ.

აგერ, ორი დღის წინ გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" პირველი ბუნდესლიგის კლუბთა შორის გამოკითხვა მოაწყო. მიიწვევდით თუ არა მთავარ მწვრთნელად კრისტოფ დაუმს, იყო შეკითხვა. 18 კლუბის პრეზიდენტ-მენეჯერთაგან მხოლოდ სამმა გამოთქვა სურვილი მიეწვია „ლევერკუზენის" ექსთავკაცი გუნდში სამუშაოდ. ეს სამი კლუბი „დორტმუნდი", „მიუნხენ 1860" და „კოტბუსი" არიან.

„მისთვის მწვრთნელობის აკრძალვა აბსურდია. ჩვენ რომ მწვრთნელის პრობლემა გვქონდეს, მის კანდიდატურასაც განვიხილავდით და შანსს მივცემდით. მგონი, დაუმმა ეს დაიმსახურა" — განაცხადა „დორტმუნდის" მენეჯერმა მიხაილ მაიერმა.

„კრისტოფმა თავისი შესაძლებლობები უკვე დაამტკიცა. ჩინებული მწვრთნელია. მერე რა, რომ ნარკოტიკებს იღებდა. მთავარია, რომ მან თავისი შეცდომა დაინახა, ჩვენ კი პატიება უნდა შევძლოთ. მე თუ მკითხავთ, მისთვის ბუნდესლიგის კარი კვლავ ღიაა" — ამბობს კარლ-ჰაინც ვილდმოზერი, „მიუნხენ 1860"-ის პრეზიდენტი, კაცი, რომელიც სამშაბათს 2004 წლამდე დატოვეს ამ თანამდებობაზე.

ახლა დაუმის მეგობარ რაინერ კალმუნდს მოვუსმინოთ: „ლევერკუზენისთვის" დაუმის თემა 21 ოქტომბერს ამოიწურა, როცა ჩვენს შორის ურთიერთობას წერტილი დაესვა და კონტრაქტიც შეწყდა".

საინტერესოა ფრანკფურტის „აინტრახტის" სპორტული დირექტორის როლფ დომენის ნათქვამიც: „დაუმს არავითარ შემთხვევაში არ მოვიწვევთ, რადგან ჩვენ გუნდის იმიჯს ვუფრთხილდებით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მისი მოყვანა „აინტრახტს" ჩირქს მოსცხებს".

ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ კრისტოფს საზღვარგარეთ წასვლა სურს. „ჯერ უცხოეთში ვიმუშავებ, მერე კი შეიძლება ბუნდესლიგაშიც დავბრუნდე" — ამბობს იგი.

ცოტა ხნის წინ მის ბუნდესლიგაში დაბრუნებას საფრთხე შეექმნა. გერმანიის საფეხბურთო კავშირში კრისტოფისთვის სამწვრთნელო ლიცენზიის ჩამორთმევაზე ალაპარაკდნენ, თუმცა ეს საუბარი მალე დასრულდა და დაუმს ლიცენზია შეუნარჩუნეს.

ახლა მწვრთნელი კიოლნშია, თავის ვილაში გელფრენდ ანჟელიკა კამთან ერთად ცხოვრობს და მესამე შვილს ელის, თან უცხოური კლუბებიდან მიღებულ წინადადებებს იხილავს. მას თურმე იტალიური, ბერძნული და თურქული კლუბები ეპატიჟებიან. განსაკუთრებით თურქები აქტიურობენ, სტამბოლური კლუბები — „ბეშიქთაში" და „ფენერბაჰჩე".

შეგახსენებთ, რომ იგი „ბეშიქთაშში" 1993-96 წლებშიც მუშაობდა და წარმატებითაც: 1994-ში თურქეთის თასი მოიგო, მომავალ წელს კი გუნდი ჩემპიონი გახადა. „ბეშიქთაშის" პრეზიდენტი სერდარ ბილგილიც დაუმს მეგობრად მიიჩნევს. ბოლო ცნობებით, ამ გუნდის იტალიელ მწვრთნელ ნევიო სკალას ამ პოსტზე დიდი დრო აღარ უწერია, ვინაიდან ფეხბურთელებთან ცუდი ურთიერთობა აქვს და „ბეშიქთაშიც" მესამე ადგილზეა. ჰოდა, თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორრდა, დაუმი ხომ აქააო, ამბობს ბილგილი.

ვერც „ფენერბაჰჩეს" თავკაც მუსტაფა დენიზლის აქვს საქმე კარგად. ან ჩემპიონობა ან... — ასეთია პრეზიდენტ აზიზ ილდირიმის ულტიმატუმი. ილდირიმს წარმომადგენელი უკვე მიუგზავნია კრისტოფთან, შენ ოღონდ წამოდი და წელიწადში 10 მილიონ მარკას გადაგიხდითო — ასეთია პრეზიდენტის პირობა.

საბოლოო სიტყვა დაუმზეა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, აპრილამდე არც არაფერს გადავწყვეტო, ამბობს თან. ერთის კი მაინც ეიმედება: „ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალიც რომ არ აგორებულიყო, მგონი, ნაკრების მწვრთნელი მაინც ვერ გავხდებოდი, რადგან ბევრი მოწინააღმდეგე მყავდა. გერმანიის ეროვნულ გუნდში მისვლა ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა. მზად ვიყავი, ამის გამო დიდ რისკზე წავსულიყავი. მართალია, ამჯერად მიზანს ვერ მივაღწიე, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს, გამორიცხული არაფერია. ამერიკაში იმიტომ წავედი, რომ ძალა აღარ მქონდა, მინდოდა, ამ სამყაროს მოვწყვეტილიყავი. იქ ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, მშვენივრად დავისვენე და ახლა ყველაფრის თავიდან დაწყებას ვაპირებ, ოღონ შეცდომებს აღარ დავუშვებ".

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# არსენალის არსენალი

## კარგი და ცუდი ამბები „ჰაიბერიდან“

ლონდონური „არსენალის“ ამბიციებზე საუბარი ზედმეტია. ევროპაში რამდენიმე გუნდია, რომელთათვისაც მეორეობა წარუმატებლობას ნიშნავს და მუდამ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ასეთ გუნდებს შორისაა „არსენალიც“.

ამბიცია დიდი, მდგომარეობა არასახარბიელო — „არსენალი“ პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ 13 ქულით ჩამორჩება და „სანდერლენდიც“ უსწრებს, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფის ფსკერზე ჩაძირულა და ერთი წაგებაც საბედისწერო გამოდგება.

თუმცა „ჰაიბერიზე“ სახეირო ამბებიც ხდება და საინტერესოა, ცუდი გადასწონის კარგს თუ პირიქით.

ცუდით დავიწყოთ.

ლონდონელთა მეგოლე ტიერი ანრი ჩივის, ისეთი კალენდარი გვაქვს, სულ ადვილად შეიძლება, ჩემს ფეხბურთელობას ბოლო მოეღოსო. „წარმოიდგინეთ — ამბობს ფრანგი — სეზონის დაწყებისას, პირველივე მატჩში, საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. რა გასაკვირია, დაძაბული წინა სეზონისა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თვენახევარში პრემიერლიგა დაიწყო. ეს პერიოდი მთლიანად დასვენებას მოვანდომე და სეზონის წინ ვარჯიში ვერ მოვახერხე. ჰოდა, გავედი თუ არა, ვიგრძენი, რომ ძალიან გამიჭირდებოდა. ამას ჩემპიონთა ლიგაც დავუმატოთ — ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ვთამაშობდი. ამოსუნთქვის საშუალებაც არ მაქვს: აგვისტოდან სულ სამი მატჩი გამოვტოვე. კიდეც მიკვირს, 14 გოლის გატანა როგორ შევძელი. თან იმისიც მეშინია, სასტარტო შემადგენლობაში ადგილი არ დავკარგო, რადგან ჩვენთან ძალიან დიდი კონკურენციაა. ასე რომ, იძულებული ვარ, მატჩის წინ მთელი ძალა მოვიკრიბო და ისე გავიდე“.

ანრის სიტყვების დასტურად თებერვლის ორკვირიან მონაკვეთში „მეთოფეთა“ კალენდარს გადავხედოთ: 10 თებერვალს „არსენალი“ კერკეტ კაკალ „იფსვიჩს“ მასპინძლობს; სამი დღის შემდეგ ლიონში ჩემპიონთა ლიგის მატჩი აქვს და წაგების შემთხვევაში ძალიან ცუდად წაუვა საქმე; 17 თებერვალს ლონდონელები ასოციაციის თასზე თამაშობენ; 21 თებერვალს ისევ ჩემპიონთა ლიგა და ისევ „ლიონი“, ოთხი დღის შემდეგ კი „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერთან“ ჭიდაობა...

თუმცა ისიც სათქმელია, რომ მხოლოდ „არსენალი“ არაა ასეთ დღეში. განა იგივე „მანჩესტერი“ ნაკლებს თამაშობს? ამის პასუხად არსენ ვენგერი ამბობს, ასეთ ტემპს რომ გაუძლო, ყოველ პოზიციაზე თანაბარი ძალის ორი ფეხბურთელი მაინც უნდა მყავდეს, მე კი ანრის შემცვლელად არავინ მეგულებაო.

ახლა კარგ ამბებზეც.

ერთი ისაა, რომ პატრიკ ვიეირა გამოსწორების გზას დაადგა, მეორე ის, რომ ბრაზილიელი ედუს „არსენალში“ გადასვლა როგორც იქნა, დასრულდა და მესამეც — დენის ბერხკამპმა საბოლოო ნავსაყუდლად „არსენალი“ აირჩია. თანმიმდევრობით მოვყვეთ.

პრემიერლიგა ერთი კვირის დაწყებული იყო და პატრიკ ვიეირას უკვე ორი წითელი ბარათი ჰქონდა. ეს რეკორდია, მაგრამ მავანნი ამბობდნენ, ჯერ სად ხართ, რეკორდი სეზონის ბოლოს ნახეთო. მსგავსი არაფერი განმეორებულა. გუშინწინ ერთ-ერთი ფირმის სპორტული ფეხსაცმლის პრეზენტაციაზე მყოფმა ვიეირამ სიამაყით განაცხადა, უკვე 21 მატჩია, არათუ გავუძევებივარ, ყვითელი ბარათიც არ მიმიღიაო.

ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ... ვიეირამ სხვა რამეც თქვა, საუკეთესო ფორმაში არ ვარ და საერთოდ, მეეჭვება ამ სეზონში პრემიერლიგის მოგება შევძლოთ, გაისად კი სხვა საქმეაო. ასე რომ, გამოდის, ვიეირას ამბავი სასიამოვნოა, მაგრამ ამ სეზონში მისგან ხეირი არ იქნება.



ლონდონელ ფრანგთა ცეკვა: ანრი გადაღლილა, ვიეირა გამოსწორებულა

ახლა ედუ. გავიხსენოთ, რომ არსენ ვენგერმა დიდი ხანია ემანუელ პეტის შემცვლელის ძებნა დაიწყო და ასევე დიდი ხანია, „კორინთიანსში“ ედუს მიაგნო. მაშინ, ივლისში, ტრანსფერი არ შედგა, რაკი ლონდონის „ჰითროუს“ აეროპორტში 22 წლის ბრაზილიელს ყალბი პორტუგალიური პასპორტი აღმოუჩინეს და სამშობლოში დააბრუნეს. თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არსენ ვენგერმა არ მოისვენა და სამშაბათს ედუს (სრული სახელია ედუარდე დაუდე გასპარი) კონტრაქტზე ხელი მოაწერინა. ცხადია, ფეხბურთელის პასპორტი ამჯერად წესრიგში იყო.

ბედნიერი ვარ „არსენალში“ გადასვლითო, თქვა ედუმ, ისიც ძალიან ჰიხარია, რომ აქ ჩემი ძველი მეგობარი სილვინიო თამაშობს და სხვებთანაც მალე დავმეგობრდებიო.

კმაყოფილია მწვრთნელიც. მან ბევრი ილაპარაკა ახალწვეულის ტალანტზე, მაგრამ დაამატა, ინგლისური ფეხბურთი დიდად განსხვავდება ბრაზილიურისგან და ედუს აქაურობასთან შესაგუებლად ოთხი-ხუთი თვე დასჭირდებაო. ესეც იმას ნიშნავს, რომ ედუს გადაყვანა კარგია, მაგრამ შედეგს მხოლოდ მომავალი სეზონიდან უნდა ველოდოთ.

31 წლის დენის ბერხკამპმა ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი თავის კლუბთან, რომელშიც მილანის „ინტერიდან“ 1995 წელს გადავიდა. 1998 წელს მან პრემიერლიგაც მოიგო და ასოციაციის თასიც, თუმცა ფინალში ტრავმის გამო არ უთამაშია.

„მე მიყვარს „არსენალი“, თუმცა კონტრაქტის გაგრძელებას რომ დავთანხმდი, სხვა მიზეზიც მქონდა — თქვა ჰოლანდიელმა — როცა ხალხი მეუბნება, უშენოდ „არსენალი“ ვერ წარმოგვიდგენიაო, ეს ჩემზე განსაკუთრებით მოქმედებს. რა ვქნა, სენტიმენტალური ვარ. „არსენალი“ ალბათ ჩემი ბოლო კლუბი იქნება — პატარა ხომ აღარ ვარ“.

დენის ბერხკამპის კლუბში დარჩენა მართლაც კარგი ამბავია „არსენალისთვის“ — ამ სეზონშიც და მომავალშიც.

**გიორგი დარჯანია**



# დიდი განხეთქილება

## საფეხბურთო ევროპა მსოფლიოს ულტიმატუმს უყენებს

გასულ შაბათს ვწერდით, რომ ევროკავშირმა ფიფასგან წინადადებათა ახალი პაკეტი მიიღო, რომელშიც არსებული სატრანსფერო სისტემის ალტერნატიული ვარიანტის დამატებითი მუხლებია მოცემული. გავიხსენოთ, რომ პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ფიფამ ევროპის მამებს შარშან, 31 ოქტომბერს წარუდგინა. ასევე ვწერდით, რომ ევროკავშირის ექსპერტები ახალ წინადადებებს სწავლობენ და დასკვნას მოგვიანებით გააკეთებენ.

ამასობაში კი ახალი დიდი სკანდალი მზადდება. თუმცა „მზადდება" საქმის არსს სრულად ვერ ასახავს და ჯობია ვთქვათ, დიდი დაპირისპირება საბოლოოდ მომწიფდაო. საუბარი ფიფასა და უეფას არცთუ ტკბილ ურთიერთობას ეხება, რომელიც სათავეს წარსულში იღებს.



ლენარტ იუჰანსონი და ზეპ ბლატერი

ფიფაში შემავალი კონფედერაციებიდან უეფა რომ ყველაზე ძლიერია, მტკიცება არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, უეფას ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია, რომ მის სიტყვას მსოფლიო საფეხბურთო ოჯახში განსაკუთრებული ფასი დასდებოდა.

ფიფა-უეფას დაპირისპირებამ ფიფას სათავეში ზეპ ბლატერის მისვლის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა. დავიწყოთ იმით, რომ ბლატერი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ფიფას მესაჭეობის მოპოვებაში ეცილებოდნენ ერთმანეთს და მათი წინასაარჩევნო დუელი დღემდე გრძელდება. ასევე გავიხსენოთ, რამხელა ხმაური მოჰყვა ბლატერის იდეას მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის თაობაზე. ამ წინადადებას უეფასგან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა და დღეს მასზე აღარც საუბრობენ.

როგორც აღვნიშნეთ, ფიფა-უეფას დაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რისი დასტურიც ორშაბათს უეფასა და ცამეტი ევროპული ლიგის წარმომადგენელთა შეხვედრაზე და სამშაბათს უეფას აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომაზე გაკეთებული განცხადებებია.

უეფა აღშფოთებულია იმით, რომ ფიფა ევროკავშირთან მოლაპარაკებებისას, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებს ევროპელ საფეხბურთო მოღვაწეთა მოსაზრებებს. უეფა ფიფასგან კატეგორიულად მოითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა უკან გამოითხოვოს ევროკავშირში გაგზავნილი კანონპროექტი, რადგან ის პრინციპულად ეწინააღმდეგება უეფას და ევროპულ კლუბთა ინტერესებს. მეტიც, უეფაში თვლიან, რომ ფიფასეული შესწორებები დიდ ევროპულ კლუბებს გააკოტრებს. ამის თაობაზე უეფას მესვეურთა გარდა ორშაბათის შეხვედრაზე „ლიდს იუნაიტედის" თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარემ დევიდ დეინმა საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთეს. დეინი ამავე დროს „არსენალის" ვიცე-თავმჯდომარეცაა. მან, კერძოდ, თქვა: „სრულიად გაუგებარია, რატომ უგულებელყოფს ფიფა ყველაზე გავლენიანი კონფედერაციის ინტერესებს. ვეჭვობ, ამგვარმა დამოკიდებულებამ სიკეთე მოუტანოს. პირიქით, უეფას მხარდაჭერის გარეშე ფიფა დასუსტდება. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიმუშაოთ ერთად".

საბოლოოდ შეკრება ფიფას მიმართ ულტიმატუმის წაყენებით დასრულდა: თუ ფიფა ევროპული საფეხბურთო წრეების ინტერესებს არ გაითვალისწინებს, უეფა მისი გვერდის ავლით პირდაპირ კონტაქტს დაამყარებს ევროკომისიასთან და სატრანსფერო სისტემის საკუთარი ვარიანტის გატანას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ ფიფას და უეფას პოზიციები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ფიფას ვერსიით, ფეხბურთელმა სამი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს კლუბი წასვლის შესახებ, ხოლო უეფა ითხოვს, რომ ამგვარი საკითხები არბიტრაჟმა გაარჩიოს და საკომპენსაციო თანხის ოდენობა დაადგინოს. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ევროკავშირის პრეტენზიაც ეს იყო: ფეხბურთელს ნებისმიერ დროს ყოველგვარი გადასახადის გარეშე უნდა ჰქონდეს კლუბიდან წასვლის უფლება, რის გამოც საეჭვოა, უეფას პოზიცია ევროკავშირელთათვის მისაღები იყოს.

დაპირისპირების გამწვავების თაობაზე ფიფას წარმომადგენლებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ, ევროკავშირში კი ამბობენ, იმედი გვაქვს, ფიფა და უეფა საერთო ენას გამონახავენ, საკითხის განხილვა ისედაც გაჭიანურდა და დამატებით პრობლემებს არ შექმნიანო.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS ვალენსიიდან

## ჩავიდა!

*დიახ, ყველაფერი ნაღდი ყოფილა — გუშინ მარტინ პალერმომ ბუენოს აირესში ფეხი დაჰკრა და ვალენსიაში ჩაფრინდა. რატომ ვალენსიაში? ვილიარეალს აეროპორტი არ გააჩნია.*

*სამაგიეროდ, „ვილიარეალს" აწი პალერმო ეყოლება.*

### პორტუგალია

**თასის მერვედფინალი**

**ფამალიკაუ (II) 2:1 ჟილ ვისენტე**

0:1 პინეირუ (10), 1:1, 2:1 ჟალმირი (11, 23პ)

**სპორტინგი 3:3დ.დ.(3:3) ნასიონალი (II)**

1:0 აკოსტა (25), 1:1, 1:2 ფაბრისიუ სილვა (37, 63), 2:2 ბარბოსა (81), 3:2 მ. მვენზა (88), 3:3 სერჟინიუ კუნია (90პ)

### ინგლისი

**ასოციაციის თასი**

1/32 გადათამაშება

კრიუ — კარდიფი 2:1; გრიმსბი — უიკომბი 1:3; ნოთს ქაუნთი — უიმბლდონი შეწყდა 51-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 1:1; სკანთორპი — ბარნლი გადაიდო.

მეთექვსმეტედფინალში „კრიუ" შეხვდება „სტოკ სიტის", „უიკომბი" — „ვულვერჰემპტონს".



**ფრანგულმა** „სედანმა" მეორედივიზიონური „ბოვედან" 26 წლის ნახევარმცველი ალან პეტიტიე შეიძინა და მასთან სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გააფორმა, თუმცა შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ თუ ფეხბურთელი კლუბს მოერგება, იგი იქ მეტ ხანსაც დარჩება და ხელშეკრულებას გაახანგრძლივებს. ტრანსფერის ფინანსური დეტალები გუნდებს არ გაუმხელიათ.

**იტალიური „ინტერი" „ტორინოს" ფორვარდ მარკო ფერანტეთი დაინტერესდა და ტურინულ კლუბთან მოლაპარაკებებიც გააჩაღა. თავიდან „ტორინო" 30 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ „ინტერიდან" კორადო კოლომბოს გადაყვანას ითხოვდა, მაგრამ მილანელები ფეხბურთელის გაცვლაზე არ დათანხმდნენ. ახლა კი ცნობილია, რომ ფერანტეს ტურინელები 5 მილიონ დოლარად ყიდიან.**

**ნიგერიელ** ნახევარმცველ ემანუელ ამუნიკეს სერიოზული მკურნალობა ესაჭიროება, რის გამოც შესაძლოა ექვს თვეს ვერ ითამაშოს ესპანეთის მეორედივიზიონური „ალბასეტეს" შემადგენლობაში. ექიმებმა დაადგინეს, რომ ამუნიკეს აქილევსის მყესები გაუწყდა. ნახევარმცველი წინა შაბათს აფრიკის ერთვნებათა თასის შესარჩევ ეტაპზე ზამბიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა. ამუნიკე „ალბასეტეში" ამ სეზონის დასაწყისში „ბარსელონიდან" გადავიდა, მას შემდეგ, რაც კატალონიურმა კლუბმა მასთან კონქრაქტი გაწყვიტა.

**ესპანური „რეალ სოსიედადი" მადრიდის „რეალთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს და მალე შესაძლოა მცველი ჟულიო სეზარი ინათხოვროს. 22 წლის ბრაზილიელი „სამეფო კლუბში" 1999 წლიდან თამაშობდა, მანამდე კი სამი სეზონი „ვალიადოლიდში" ირიცხებოდა. გეხსომებათ, ბასკთა ამჟამინდელი თავკაცი ჯონ ტოშაკი „რეალში" მუშაობდა და ჟულიო სეზარის შესაძლებლობებიც იცის. უელსელი „სოსიედადის" დაცვის გაძლიერებას აპირებს და სხვა ფეხბურთელებთან ერთად ბრაზილიელის გადაბირებაც სურს. ჟულიო სეზარი მართალია „რეალის" საკუთრებაა, მაგრამ ახლა იტალიურ „მილანში" განათხოვრებით თამაშობს.**

**იტალიაში** გავრცელდა ხმები, რომ „ინტერს" მწვრთნელად ექტორ რაულ კუპერის მიწვევა სურს და მალე არგენტინელთან და მის ამჟამინდელ კლუბ „ვალენსიასთან" დაიწყებს მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, რომ კუპერი „ვალენსიაში" „მალიორკიდან" მივიდა, მას შემდეგ, რაც ბალეარის კუნძულების გუნდი 1999 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა. ახალ კლუბში მისვლის შემდეგ კი პირველივე სეზონში „ვალენსია" ჩემპიონთა თასის ფინალშიც ათამაშა, თუმცა გუნდი მადრიდის „რეალთან" 0:3 დამარცხდა.

**ვენესუელის ნაკრების მწვრთნელად რიჩარდ პაესი დაინიშნა, იგი გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უხელმძღვანელებს. ვენესუელელებს 10 ჩატარებულ შეხვედრაში მხოლოდ 3 ქულა აქვთ, მომავალ შეხვედრას ისინი 27 მარტს ბუენოს აირესში არგენტინასთან გამართავენ. ნაკრების ყოფილი თავკაცი, არგენტინელი ხოსე ომარ პასტორისა ორი თვის წინ ეკვადორთან შინ დამარცხების შემდეგ გადადგა.**

**ფრანგულმა** „მარსელმა" უარყო სლოვენიური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბოსნიელ ფორვარდ ალენ შკოროსთან ოთხწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა, თუმცა იქვე დაადასტურა, რომ ფეხბურთელი ახალ კლუბში უკვე ვარჯიშობს. „მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ განაცხადა, რომ დრო სჭირდება, რათა თავდამსხმელს უფრო მეტად დააკვირდეს" — იუწყება „მარსელი". თავად შკოროზეც ვთქვათ. იგი 19 წლისაა, ბოსნიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და ლიუბლიანის „ოლიმპიაში" შარშან ივლისიდან ირიცხება. მან გუნდში ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ყველა თამაშში თითო გოლი გაიტანა.

**ინგლისურ „ასტონ ვილას" „ბოკა ხუნიორსის" კოლუმბიელი მეკარის ოსკარ კორდობას შეძენა სურს. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ კლუბთან ბირმინგემელები მოლაპარაკებას უკვე აწარმოებენ. „ასტონ ვილა" ამჟამინდელ გოლკიპერ დევიდ ჯეიმსს, რომელმაც ამას წინათ კლუბის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა, ალბათ, გაყიდის. ჯეიმსი „ვილა პარკზე" ორი წლის წინ „ლივერპულიდან" გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში იგი ინგლისის ნაკრებშიც მიიწვიეს. თუ „ბოკა ხუნიორსმა" კორდობა გაუშვა, რომელიც გუნდის კარს 1995 წლის შემდეგ იცავს, არ არის გამორიცხული, პარაგვაელი ხოსე ლუის ჩილავერტი იყიდოს. ეს მეკარე ფრანგულ „სტრასბურს" ვერ მოერგო.**

**ფრანგმა** მცველმა ფრანკ ლებეფმა კარიერა შესაძლოა „მონაკოში" გააგრძელოს. „ინგლისში გატარებული დროით კმაყოფილი ვარ, ახლა კი „მონაკოსთან" ერთად მსურს რაიმე ტიტულის მოგება. გუნდი აშკარა კრიზისშია, არადა, უფრო მაღალ ადგილზე ყოფნას იმსახურებს" — განაცხადა „ჩელსის" ფეხბურთელმა, რომელმაც ლონდონური კლუბის შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასი, ორჯერ ინგლისის ასოციაციის და ერთხელაც ლიგის თასები მოიგო. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 33 წლის ლებეფი „მონაკოსთან", ალბათ, ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს.

**გერმანულმა „აინტრახტმა" ნორვეგიული „ლილესტრიომის" 27 წლის მცველი ტომი ბერსტენი 1,2 მილიონ დოლარად შეიძინა და მასთან 2004 წლამდე კონტრაქტი გააფორმა. ამ ფეხბურთელს ერთხელ ნორვეგიის ნაკრებშიც უთამაშია. „ტომი ბუნდესლიგის სეზონის განახლებისთანავე ახალ კლუბში გადავა, ტრანსფერის ფინანსური დეტალები მოგვარებულია" — განაცხადა „ლილესტრიომის" წარმომადგენელმა.**

**ესპანეთის** მეორედივიზიონურმა ხიხონის „სპორტინგმა" მწვრთნელი ვისენტე კანტატორე გაათავისუფლა. ჩილელ სპეციალისტს, რომელსაც ადრე „ბეტისი" და „ვალიადოლიდი" გაუწვრთნია, რამდენიმე კლუბი უკვე ეპატიჟება, ხიხონელებს კი ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი ხოსე მარია მეანა ჩაუდგა სათავეში.

**ინგლისელი თავდამსხმელის ლეს ფერდინანდის შეძენის სურვილი „ბრეშამ" გამოთქვა. იტალიელებმა „ტოტენჰემთან" მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს. „ყოველთვის მსურდა, კარიერა „ტოტენჰემში" დამესრულებინა, მაგრამ ხშირად ისე არ ხდება, რასაც ჩაიფიქრებ. იტალიაში გადასვლას არ გამოვრიცხავ. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბებმა მოლაპარაკებები წამოიწყეს" — განაცხადა 34 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ადრე ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია.**

**შოტლანდიელი** მცველი კრისტიან დეილი „ვესტ ჰემმა" „ბლექბერნისგან" 1,75 მილიონ გირვანქად შეიძინა. ფეხბურთელის გადაბირების სურვილს „ლესტერი" და „ევერტონიც" გამოთქვამდნენ — ლივერპულური კლუბი მასთან თითქოს კონტრაქტსაც აფორმებდა, მაგრამ დეილიმ გადაიფიქრა და ლონდონში გადასვლა არჩია. „კრისტიანი კარგი ფეხბურთელია, თან შოტლანდიის ნაკრებშიც თამაშობს. კარგია, ჩვენთან გადმოსვლა რომ არჩია. მას შემდეგ, რაც რიო ფერდინანდი „ლიდსში" გავყიდეთ, სამი ახალი მოთამაშე შემოვიმატეთ. გუნდისთვის ასე აჯობებს" — განაცხადა „ვესტ ჰემის" თავკაცმა ჰარი რედნაპმა.

# სარბიელი
# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლომის წილი ცხოველისგან

16 იანვარი

**პორტლენდი 103:83 კლივლენდი**

პორტლენდი: ველსი (22), სმიტი (19), ვოლესი (18), საბონისი (16)
კლივლენდი: ვეზერსპუნი (17), მილერი (14 ქულა, 10 პასი)

**მაიამი 93:85 დეტროიტი**

მაიამი: მეისონი (23 ქულა, 18 მოხსნა)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (28)

**ჰიუსტონი 114:99 ტორონტო**

ჰიუსტონი: მობლი (26), ტეილორი (24)
ტორონტო: კარტერი (22), ოკლი (16)

**მილუოკი 112:91 კლიპერსი**

მილუოკი: ალენი (32), რობინსონი (29 ქულა, 12 მოხსნა), კასელი (20 ქულა, 14 პასი)
კლიპერსი: რიჩარდსონი (15)

16 იანვარს მორიგი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონობის ერთ-ერთმა კანდიდატმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა". მისი მეტოქე უვარსკვლავო, მაგრამ ბრძოლისუნარიანი „კლივლენდი" გახლდათ და „პორტლენდმა" მას იოლად მოუთავა ხელი. თავად „ბლეიზერსი" ნამდვილად არ განიცდის ვარსკვლავთა უკმარისობას, საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ყველა მათგანი სასტარტო ხუთეულში ვერც კი ხვდება. აი, სტივ სმიტი ავილოთ — მას ნბა-ში როგორც მოთამაშეს, დიდი წონა აქვს, სიდნეის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ნაკრების წევრიც გახლავთ, მაგრამ ოლიმპიური ოქრო და კიდევ ბევრი სხვა პირადი ტიტული ხუთეულში მოხვედრის გარანტია რომ არ გახლავთ, ამას მისი გუნდის ბოლო თამაშებიც ამტკიცებს. შეხვედრა შეხვედრას მისდევს სმიტმა კი ვერა და ვერ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი ხუთეულში, საიდანაც გასულ წელს ტრავმის გამო ამოვარდა. მის, მსროლელის პოზიციაზე უკვე მყარადაა ვინმე ბონზი ველსი, რომელიც ბოლო თამაშებზე ვარსკვლავთ „პორტლენდს" ლამის ლიდერად მოევლინა.

ველსმა შეიფერა ძირითადში მოხვედრა, ბოლო თამაშებია, „ბლეიზერსის" ბომბარდირად იქცა და აგერ „კლივლენდსაც" თავს 22 ქულა დაატეხა. სათადარიგოდ გამწესებულმა სმიტმა 19 ქულას მოუყარა თავი. „ათი წელია, ვთამაშობ და მუდამ ძირითადში ვიყავი. ამიტომ ახლა, როცა მატჩი იწყება და მე მოედნის ნაცვლად სკამზე ვიმყოფები, თავს ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობ. ისე, რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ გუნდი იგებს. მთავარი ხომ ესაა" — სმიტის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ იგი თითქოს ბედს შეეგუა. თუმც მისი თამაშის შემხედვარე ამას ვერ იტყვი. იგი ახლა გაორკეცებულ ენერგიას ახმარს ყოველ შეხვედრას. „კუთვნილი" ადგილის დასაბრუნებლად ბრძოლამ ერთბაშად გამოაცოცხლა ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში უხეიროდ ირჯებოდა. მისმა შედეგიანობამაც ბოლო ხანს გვარიანად მოიმატა. ეს, ცხადია, პორტლენდის" წისქვილზე ასხამს წყალს. „ბლეიზერსმა" ბოლო 13 შეხვედრიდან 12 მოიგო და გრანდებით სავსე დასავლეთ კონფერენციაში გამეფდა.

ალონზო მურნინგის ტრავმამ აღმოსავლეთის პოტენციური ლიდერი „მაიამი ჰითი" ბევრად უკან დასწია. თუმც ფლორიდელები თანდათან ძალებს იკრეფდნენ და აგერ ზედიზედ მერვე შინაური მეტოქე გაამწარეს, რაშიც ლომის წილი დაიდო თანაგუნდელთაგან „ცხოველად" წოდებულმა და ერთობ შავბნელი წარსულის (აწმყოსიც) მქონე ენტონი მეისონმა. მან 23 ქულასთან ერთად სეზონში თავისთვის სარეკორდოდ ბევრი, 18 მოხსნა შეაგროვა და თავის გუნდს მეტოქე ამ კომპონენტში 51:41 დააჩაგვრინა.

„დეტროიტს" კვლავ ვერ უშველა ჯერი სტეკჰაუზმა. ეს ჯეელი საშუალოდ მატჩში 30 ქულას აგროვებს. ეს ერთი კაცისთვის ბევრია, გუნდისთვის კი ცოტა და ვინაიდან სტეკჰაუზი ლამის მარტო ებრძვის მეტოქეთ, „დეტროიტი" თამაშს თამაშზე აგებს და ზედიზედ მეექვსედ იგემა ალიყური.

„ტორონტო რეპტორზმა" ერთ კვირაში „ჰიუსტონთან" ორჯერ დამარცხება მოასწრო. ცივი კანადიდან მზიურ ჰიუსტონში ნასტუმრებმა „დინოზავრებმა" თავიდანვე უხეიროდ დაიწყეს და თამაში ისე მიილია, ხეირიანი ლამის არაფერი გაუკეთებიათ. ოქრო-ბიჭმა ვინს კარტერმა, რომელსაც ბომბარდირის წოდებისთვის დიდი მარათონი აქვს გამართული ჯერი სტეკჰაუზთან და ლეიკერსელ კობი ბრაიანტთან, უამრავი სროლა გააფუჭა და 22 ქულით შემოიფარგლა. სხვისთვის ეს იქნებ ბევრიც იყოს, მაგრამ კარტერისგან, რომლის იმედად მთელი გუნდია, ყოველთვის მეტს ელიან.

მასპინძელმა „ჰიუსტონმა" იოლად იმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ რატომღაც შინ უარესად თამაშობს, ვიდრე სტუმრად. თან რაკეტათა წინამძღოლმა სტივ ფრენსისმა ბრწყინვალე წინა კვირის შემდეგ ეს თამაში ჩააფლავა და თავისიანებს ოდენ 12 ქულა შეაშველა. სამაგიეროდ, გაინავარდეს უკანა ხაზში მისმა მეწყვილემ კუტინო მობლიმ და ამ სეზონში „ჰიუსტონის" მთვლემარე ახალწვეულმა მორის ტეილორმა. ამ უკანასკნელმა იმდენი მოინაგრა, რომ სეზონის პირადი რეკორდი დაიმყარა.

ტეხასელები, ცხადია კმაყოფილი დატოვა არცთუ იოლი მეტოქის ძლევამ და სტიმული მისცა, შინაურ თამაშებს მეტი ყურადღებით მოეკიდნონ. „ჰიუსტონი" ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც ხტუმრად უფრო მეტი მოუგია, ვიდრე შინ. მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი ქომაგთ ამ კაზუსის გამოსწორებას ჰპირდება. „ვფიქრობ, ეს დროებითია. ძალების მობილიზება უნდა შევძლოთ, რადგან უახლოეს მომავალში ბევრ ძლიერ გუნდს ვუმასპინძლებთ, მათ შორის „ფილადელფიასაც". ასეთებს კი, თუ თამაშში სული და გული არ ჩადე, ვერ მოუგებ" — ამბობს ტომიანოვიჩი.

მილუოკიში იქაურმა „ბაქსმა" „კლიპერსი" დაჩაგრა და ეს არავის გაჰკვირვებია. მილუოკელთა შინ წაგებული სერია აგერ თერთმეტ თამაშს ითვლის, ერთიც და „ბაკსი" კლუბის ისტორიულ რეკორდს დაამყარებს. ეს შინ, საერთოდ კი „მილუოკიმ" ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა და ცენტრალურ დივიზიონში პირველი ადგილი საფუძვლიანად გაიმყარა. მწვრნელ ჯორჯ კარლს კი ეს შედეგი არ აკმაყოფილებს. როცა შინ კი არა, გასვლაზე მოვიგებთ 11 თამაშს, მაშინ ჩათვალეთ, რომ რაღაცას მივაღწიეთ, მანამდე კი ჩვენ ერთი რიგითი გუნდი ვართო — ამბობს იგი. ეს გამარჯვება კი მთლიანად გუნდის ხერხემლის, რობინსონ-ალენ-კასელის დამსახურებაა, რომლებიც სეზონის ცუდი სტარტის შემდეგ გამოფხიზლდნენ და მეტოქეებს მშიერი მგლებივით დაერივნენ. ამ სამეულმა „კლიპერსის" 81 ქულა ჩაუგდო და რაღა გასაკვირია, უხეირო მეტოქე პირველივე ნახევარში რომ გატეხა.

**ირაკლი ფირცხალავა**



მაიამი — დეტროიტი. ედი ჯონსის ჩატენვას დეტროიტელი დანა ბაროსი შესცქერის



პორტლენდი — კლივლენდი. არვიდას საბონისი (№11) და კლივლენდელი ჯიმი ჯექსონი

## კვირის მოთამაშე

### სტივ ფრენსისი
**· ჰიუსტონი ·**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა „ჰიუსტონ როკიტსის" გამთამაშებელი სტივ ფრენსისი, რომელმაც იოლად აჯობა კონკურენტს, „დიდ ძაღლად" წოდებულ მილუოკელ გლენ რობინსონს და ეს ტიტული ორწლიან კარიერაში პირველად ირგუნა. 193-სანტიმეტრიან ფრენსისს ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეობამდე ჯერ ბევრი უკლია, თუმც დღესდღეობით იგი „ჰიუსტონის" გამოკვეთილი ლიდერია და ლიგაში ერთადერთი კალათბურთელიც კია, რომელიც ხუთი სტატისტიკური კომპონენტიდან ოთხში (19,9 ქულა, 6,6 მოხსნა, 6,3 პასი, 2,06 ჩაჭრა) საუკეთესოა თავის გუნდში. მისი წყალობით „ჰიუსტონს", რომელსაც სხვა დასავლელ გუნდებთან შედარებით სუსტი შემადგენლობა ჰყავს, თავი ყოჩაღად უჭირავს და პლეი ოფისთვის ბრძოლას აგრძელებს. გასულ კვირაშიც „რაკეტებმა" სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს, ხოლო თავად ფრენსისმა ამ თამაშებში თავის გუნდს საშუალოდ 23,0 ქულა, 9,7 პასი, 8,7 მოხსნა, 2,67 ჩაჭრა და 2,0 დაფარება გაუხერხა.

გასულ კვირაში „ჰიუსტონს" სულ რჩეული მეტოქეები ჰყავდა. „რაკეტებმა" კვირა შინ „ტორონტოს" 110:91 ძლევით გახსნეს. აქ ფრენსისს 24 ქულა, 11 პასი და რვა მოხსნა მოუგროვდა. მომდევნო შეხვედრა ჰიუსტონელებმა ნიუ იორკში გამართეს, სადაც ფრენსისის 22 ქულის, რვა-რვა მოხსნისა და პასის წყალობით იქაური „ნიქსი" უმძიმეს ბრძოლაში 76:75 დაამარცხეს. კვირა კი ფრენსისმა 23 ქულით, 10 პასითა და 9 მოხსნით საკრამენტოში დაასრულა. „ჰიუსტონი" სტუმრად „კინგზთან" 15 ქულას აგებდა და კვირის მომავალი რჩეულის ძალისხმევით ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, თუმც მეტი ველარაფერი შეძლო და საპატიო სხვაობით, 81:84 წააგო.

გლენ რობინსონის გარდა ფრენსისს ამ ტიტულში ეცილებოდნენ ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), ანტონიო მაკდაიესი, ნიკ ვან ექსელი (ორივე დენვერი), სემ კასელი (მილუოკი), ალენ აივერსონი (ფილადელფია), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), შონ მარიონი (ფინიქსი), დერიკ ანდერსონი (სან ანტონიო), დონიელ მარშალი (იუტა) და მაიკ ბიბი (ვანკუვერი)

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 28 | 9 | 75,7 |
| ნიუ იორკი | 24 | 13 | 64,9 |
| მაიამი | 23 | 17 | 57,5 |
| ორლანდო | 17 | 20 | 45,9 |
| ბოსტონი | 14 | 24 | 36,8 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 26 | 31,6 |
| ვაშინგტონი | 7 | 32 | 17,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 23 | 15 | 60,5 |
| შარლოტი | 23 | 17 | 57,5 |
| ტორონტო | 19 | 19 | 50,0 |
| კლივლენდი | 18 | 19 | 48,6 |
| ინდიანა | 18 | 21 | 46,2 |
| ატლანტა | 14 | 23 | 37,8 |
| დეტროიტი | 14 | 24 | 36,8 |
| ჩიკაგო | 6 | 31 | 16,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 24 | 13 | 64,9 |
| სან ანტონიო | 23 | 13 | 63,9 |
| დალასი | 24 | 16 | 60,0 |
| დენვერი | 22 | 16 | 57,9 |
| მინესოტა | 21 | 18 | 53,8 |
| ჰიუსტონი | 19 | 19 | 50,0 |
| ვანკუვერი | 11 | 26 | 29,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 29 | 11 | 72,5 |
| საკრამენტო | 25 | 10 | 71,4 |
| ლეიკერსი | 25 | 12 | 67,6 |
| ფინიქსი | 22 | 13 | 62,9 |
| სიეტლი | 21 | 19 | 52,5 |
| კლიპერსი | 13 | 28 | 31,7 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 26 | 29,7 |

# ევროკალათა

**ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡ** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ზრინსკიმ დაასახელა ის თორმეტი მოთამაშე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ბოლო ორ შესარჩევ მატჩში. 24 იანვარს სლოვენია ქალაქ ველენიეში უმასპინძლებს უკრაინას, ხოლო 27 იანვარს ბელგიას ესტუმრება. სლოვენიელებს განაღდებული აქვთ თურქეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში.

სლოვენიის ნაკრების შემადგენლობა ამგვარია: სანი ბეჩიროვიჩი, პრიმოჟ ბრეჟეცი, სტიპე მოდრიჩი, ბენო უდრიჰი (ყველა „ოლიმპია“), სამო გრუმი, სიმონ პეტროვი (ორივე „კრკა“), გორან იაგოდნიკი („მაიდენოსი“, თურქეთი), გორან იურაკი („პივოვარნა“), ივიცა იურკოვიჩი („ტელეკომი“, თურქეთი), ბოშტიან ნახბარი („ბენეტონი“, იტალია), მატიაჟ სმოდიში („კინდერი“, იტალია), მარკო ტუშეკი („სკავოლინი“, იტალია)

ნაკრებში ერთი დებიუტანტია — ლიუბლიანის „ოლიმპიას“ 21 წლის ფორვარდი სტიპე მოდრიჩი. აღსანიშნავია, რომ მოდრიჩი ხორვატია, მაგრამ სლოვენიის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს. ამ შესარჩევ ციკლში სლოვენიის ეროვნულ გუნდში ორმა ნატურალიზებულმა კალათბურთელმა უკვე ითამაშა — ხორვატმა იურიცა გოლემაცმა და იუგოსლაველმა მილან გოლიოვიჩმა.



სტიპე მოდრიჩი

**ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ** დიდი მოთამაშე, ოლიმპიური ჩემპიონი რიმას კურტინაიტისი ლიტვის მთავრობის წევრად დარჩა და ქვეყნის სპორტის მინისტრის პორტფელი მეორე ვადით შეინარჩუნა.

კურტინაიტისი მინისტრად პირველად 1997 წელს დაინიშნა. ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კონსერვატორებმა მას სპორტის მინისტრობა შესთავაზეს. კურტინაიტისი დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მოქმედი კალათბურთელი იყო. 1998-99 წლების სეზონში იგი ვილნიუსის „ლიეტუვოს რიტასში“ თამაშობდა და საპორტას თასზე მატჩში საშუალოდ 21 წუთს ატარებდა მოედანზე და 11,4 ქულას აკეთებდა. მოთამაშის კარიერა კურტინაიტისმა 1998 წლის დეკემბერში შეწყვიტა, ოღონდ არა პოლიტიკოსობის გამო, უბრალოდ, ფეხის ტრავმა გაუმიზეზდა.

ლიტვის პარლამენტის შარშანდელ არჩევნებში ლიბერალურმა ძალებმა გაიმარჯვეს და მთავრობის ფორმირებას ახლა შეუდგნენ. ბევრი ვარაუდობდა, რომ კურტინაიტისის პოლიტიკური კარიერა დასრულდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ქვეყნის ახლადარჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ყოფილ კალათბურთელს თანამდებობაზე დარჩენა და მუშაობის გაგრძელება შესთავაზა.



პანაიოტის ლიადელისი

**ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ** ნაკრებს თავი ქუდში აქვს: ევროპის ჩემპიონატის საგზური ვადამდე გაინაღდა და დარჩენილ შესარჩევ მატჩებს მშვიდად ეგებება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კოსტას პეტროპულოსმა რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცა და გუნდში ახალგაზრდობას უხმო. ნაკრების სასტარტო ხუთეულის წევრები, ჯორჯ სიგალასი, ნიკოს ეკონომუ და პანაიოტის ლიადელისი ამჯერად არ ითამაშებენ.

პეტროპულოსის თორმეტი რჩეულია: ფრაგისკოს ალვერტისი, იორგოს კალაიძისი (ორივე „პანათინაიკოსი“), იორგოს დიამანტოპულოსი, თეოდოროს პაპალუკასი (ორივე „პანიონიოსი“), ნიკოს ხაძივრეტასი, ლაზაროს პაპადოპულოსი (ორივე „ირაკლისი“), ხრისტოს ხარისისი („ირაკლიონი“), დიმიტრის პაპანიკოლაუ („ოლიმპიაკოსი“), კოსტას ცარცარისი („პერისტერი“), დიმოს დიკუდისი (აეკ), იანის იანულისი (პაოკ), ეფტიმიოს რენციასი („ბარსელონა“, ესპანეთი)

საბერძნეთის ნაკრები 24 იანვარს ავსტრიას უმასპინძლებს, ხოლო სამი დღის შემდეგ სტუმრად შეხვდება პოლონეთს.

**ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ** ოლიმპიური თამაშების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი თანამდებობიდან გადადგა. მას კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს, მაგრამ იუარა. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ ობრადოვიჩის შემცვლელის ძებნა დაიწყო და მრავალი კანდიდატურის გადასინჯვის შემდეგ არჩევანი სვეტისლავ პეშიჩზე შეაჩერა.

ამ კვირაში პეშიჩი ოფიციალურად დაინიშნა იუგოსლავიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. კალათბურთის ფედერაციამ ბელგრადში დიდი პრეზენტაცია მოაწყო და ახალი მწვრთნელი საზოგადოებას წარუდგინა. პეშიჩმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, იგი ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე დარჩება თანამდებობაზე. თუკი იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციას პეშიჩის მუშაობა დააკმაყოფილებს, მაშინ, ნაოლიმპიადევს, კიდევ ორი წლით გაუგრძელებს ხელშეკრულებას.

პეშიჩის ხელფასი ოფიციალურად არ თქმულა, მაგრამ, ამბობენ, რომ იგი წელიწადში 200 ათას დოლარს მიიღებს. ახალმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ უკვე ესაუბრა „საკრამენტო კინგზის“ იუგოსლაველ ცენტრ ვლადე დივაცს და თითქმის დაითანხმა ნაკრებში დაბრუნებაზე. ახალ მწვრთნელს იმის იმედიც აქვს, რომ ქვეყნის უმთავრესი გუნდისკენ ალექსანდრ ჯორჯევიჩიც მოიხედავს.

**ᲑᲝᲡᲜᲘᲘᲡ** ნაკრებს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი ელის: 24 იანვარს სარაევოში ფინეთს უმასპინძლებს, 27 იანვარს კი მალმიოში ესტუმრება შვედეთს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საბიტ ჰაჯიჩმა დაასახელა ის თექვსმეტი მოთამაშე, რომელთაგანაც თორმეტს აარჩევს: ზორან კუკიჩი, ბორის ბლაგოევიჩი (ორივე „ბორაცი“), სინიშა კოვაჩევიჩი („იგოკეა“), რამიზ სულაინოვიჩი, იასმინ ჰუკიჩი, სამირ ლერიჩი, ტერელ კასლი (ყველა „სლობოდა დიტა“), ბარიშ კრასიჩი („ბროტნიო“), ივან ოპაჩაკი („ზენიცა“), ჰარის მუჟძინოვიჩი („გალათასარაი“, თურქეთი), ელვირ ოვჩინა („პივოვარნა“, სლოვენია), გორდან ფირიჩი („არისი“, საბერძნეთი), დამირ მრშიჩი („ტროი“, თურქეთი), ნენად მარკოვიჩი („ესტუდიანტესი“, ესპანეთი), დამირ მირკოვიჩი („მაკაბი რიშონი“, ისრაელი), ივან ველიჩი („ტრიგლავი“, სლოვენია).

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ** ნაკრების და სევილიის „კახა სან ფერნანდოს“ გამთამაშებელი ივან კორალესი 26 იანვარს სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას 21 წლის ქალის ცემა და გაუპატიურება ბრალდება. გამოძიებამ ჩათვალა, რომ საკმარისი სამხილი აქვს და საქმე სასამართლოს გადასცა.

1999 წლის 12 ნოემბერს კორალესმა ბარში გაიცნო დაზარალებული და მასთან ერთად ორიოდ ჭიქა გადაჰკრა. შემდეგ წყვილი კორალესის სახლში გაემგზავრა მისივე მანქანით. ქალის თქმით, სახლში მისვლისთანავე კალათბურთელმა ჯერ ბეჭებში ჩაარტყა მუშტი, მერე კი სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოსთხოვა. ქალი ამბობს, გამაუპატიურაო, კორალესი კი უარზეა და აცხადებს: სექსუალური კავშირი კი დავამყარეთ, მაგრამ ყველაფერი შეთანხმებით მოხდა და არც ძალა მიხმარიაო.

ასეა თუ ისე, კორალესს თავის სიმართლის დამტკიცება სასამართლოში მოუწევს. ამჟამად იგი თავდებითაა გამოშვებული, რისთვისაც 8500 დოლარი გადაიხადა.

**ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ** ნაკრების ცენტრმა ჟელკო რებრაჩამ განაცხადა, რომ არ ითამაშებს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატზე, რომელიც სექტემბერში თურქეთში გაიმართება. რებრაჩამ ამის მიზეზად პირადი და ოჯახური პრობლემები მოიყვანა. ანალოგიური მიზეზების გამო სიდნეის ოლიმპიადა გამოტოვეს ვლადე დივაცმა და ალექსანდრ ჯორჯევიჩმა.

რებრაჩა 28 წლისაა, თამაშობს ათენის „პანათინაიკოსში“, რომლის რიგებშიც შარშან ევროლიგა მოიგო და ამ ტურნირის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშე გახდა. იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში რებრაჩას მოუგია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე კი მეორე იყო.

## ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲐᲡ ᲗᲐᲡᲘ

ჯგუფური ეტაპი. X ტური. 16 იანვარი

### A ᲯᲒᲣᲤᲘ

შალონი (საფრანგეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 82:88, ჰაპოელი (ისრაელი) — მარუსი (საბერძნეთი) 89:83, ქარშიაქა (თურქეთი) — პამესა (ესპანეთი) 105:91

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 10 | 7 | 3 | 877:858 | 17 |
| მარუსი | 10 | 7 | 3 | 875:813 | 17 |
| შალონი | 10 | 6 | 4 | 714:693 | 16 |
| ჰაპოელი | 10 | 4 | 6 | 860:837 | 14 |
| ქარშიაქა | 10 | 3 | 7 | 854:912 | 13 |
| პივოვარნა | 10 | 3 | 7 | 797:865 | 13 |

### B ᲯᲒᲣᲤᲘ

არკადია (ავსტრია) — არისი (საბერძნეთი) 57:90, პორტუ (პორტუგალია) — უნიქსი (რუსეთი) 62:75, ზაგრები (ხორვატია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 0:20

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიქსი | 10 | 8 | 2 | 709:509 | 18 |
| პორტუ | 10 | 7 | 3 | 661:606 | 17 |
| არისი | 10 | 7 | 3 | 719:659 | 17 |
| ბეშიქთაში | 10 | 5 | 5 | 688:691 | 15 |
| არკადია | 10 | 3 | 7 | 658:763 | 13 |
| ზაგრები | 10 | 0 | 10 | 0:200 | 0 |

### C ᲯᲒᲣᲤᲘ

კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — კერავნოსი (კვიპროსი) 70:78, საკალაი (ლიტვა) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 85:84, ტელეკომი (გერმანია) — რასინგი (საფრანგეთი) 87:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 10 | 8 | 2 | 875:801 | 18 |
| კერავნოსი | 10 | 5 | 5 | 814:838 | 15 |
| ცრვენა ზვეზდა | 10 | 5 | 5 | 784:785 | 15 |
| სან ფერნანდო | 10 | 4 | 6 | 836:815 | 14 |
| რასინგი | 10 | 4 | 6 | 789:810 | 14 |
| საკალაი | 10 | 4 | 6 | 802:851 | 14 |

### D ᲯᲒᲣᲤᲘ

ბორაცი (ბოსნია) — იმოლა (იტალია) 87:70, ლუჰტა (ფინეთი) — ანვილი (პოლონეთი) 59:60, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 79:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 10 | 9 | 1 | 814:754 | 19 |
| ანტვერპენი | 10 | 6 | 4 | 804:777 | 16 |
| ბორაცი | 10 | 5 | 5 | 855:802 | 15 |
| სლოვაკოფარმა | 10 | 5 | 5 | 851:832 | 115 |
| ლუჰტა | 10 | 3 | 7 | 770:863 | 13 |
| იმოლა | 10 | 2 | 8 | 803:869 | 12 |

დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მერვედფინალში



AFP სურათი

კახა სან ფერნანდო — კერავნოსი. რიჩარდ სკოტი კერავნოსელი ფოულკსის შეჩერებას ცდილობს

### ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ. 30 იანვარი — 6 თებერვალი

ᲑᲔᲨᲘᲥᲗᲐᲨᲘ (ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ) — ᲞᲐᲛᲔᲡᲐ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ)
ᲐᲠᲘᲡᲘ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ) — ᲛᲐᲠᲣᲡᲘ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ)
ᲨᲐᲚᲝᲜᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲞᲝᲠᲢᲣ (ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ)
ᲰᲐᲞᲝᲔᲚᲘ (ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ) — ᲣᲜᲘᲥᲡᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ)
ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲝᲤᲐᲠᲛᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ) — ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ)
ᲑᲝᲠᲐᲪᲘ (ᲑᲝᲡᲜᲘᲐ) — ᲙᲔᲠᲐᲕᲜᲝᲡᲘ (ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ)
ᲪᲠᲕᲔᲜᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ (ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) — ᲐᲜᲢᲕᲔᲠᲞᲔᲜᲘ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ)
ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲜ ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲐᲜᲕᲘᲚᲘ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23


ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘ
ᲒᲘᲐ ᲛᲐᲖᲐᲕᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
◆ ᲡᲣ ᲯᲝᲙ ᲐᲙᲣᲞᲣᲜᲥᲢᲣᲠᲐ
◆ ᲡᲣ ᲯᲝᲙ ᲰᲝᲛᲔᲝᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲢᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ
◆ ᲙᲕᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ
ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲘᲗ
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორტი, ლაზარეთი, სტრიპტიზი




პატრიკ რაფტერი

**ლამის** თხემით ტერფამდე სახვევებით დაფარული პატარა ემანუელა გალიარდი ქირურგიული განყოფილების პაციენტს უფრო წააგავდა, ვიდრე ჩოგბურთელს, თუმცა სწორედ ეს 24 წლის შვეიცარიელი გახდა წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის პირველი დიდი მოულოდნელობის (თუ სენსაციის არა) ავტორი.

2 საათზე მეტად გაწელილ დაძაბულ ორთაბრძოლაში გალიარდიმ შარშანდელ ნახევარფინალისტსა და მსოფლიოს მეხუთე ჩოგან კონჩიტა მარტინესს აჯობა — 5:7, 6:3, 8:6.

„შარშან სეზონის ბოლოს მხრის ტრავმა მივიღე, რომლის გამოც რამდენიმე ტურნირის გამოტოვება მომიხდა. დღეს ხანგრძლივი მატჩის გამო უკაცრავად და, უკანალის კუნთი დამეჭიმა. კოჭი კი უბრალოდ ტრავმისგან დასაცავად მქონდა შეხვეული" — ასე აუხსნა შვეიცარიელმა თავისი გარეგნობის საინტერესო დეტალები მოგვიანებით ჟურნალისტებს.

ყველაზე მეტად გალიარდის ერთი შეხედვით, დაუსრულებელ გადამწყვეტ სეტში გაუჭირდა. 4:2 დაწინაურების მიუხედავად, 4:5-ზე ის ბეწვზე გადაურჩა მარცხს და მაშინვე კორტზე ექიმს უხმო. მსგავს მარათონულ შეხვედრებს დაჩვეულმა და გულყრამდე გაჭიანურებული გათამაშებების ოსტატმა მარტინესმა ბოლომდე იბრძოლა და უკანასკნელ გეიმში სამი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა, მეტოქისდა გასახარად, ერთიც ვერ გამოიყენა. ბოლოს და ბოლოს ვეტერანი ესპანელის მილება მატჩ-პოინტზე კორტს ასცდა და გასავათებულმა გალიარდიმაც გაიხარა.

„საუკეთესოთა ათეულის წარმომადგენელი კარიერაში პირველად დავამარცხე და, ცხადია, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ. მელბურნში რომ ჩამოვედი, ამდენი ტრავმის შემყურე ამაზე ვერც ვიოცნებებდი" — განაცხადა შვეიცარიელმა, რომელიც თავისი ქვეყნის ღირსებას ოლიმპიადასა და ფედერაციის თასზე იცავდა, მაგრამ დიდი სლემის ტურნირზე მეორე წრეს აქამდე არასოდეს გასცილებოდა.

გუშინ მარტინესის გარდა მელბურნში ერთადერთი განთესილი გავარდა და დაზარალებული ამჯერადაც ესპანელი გამოდგა. დევისის თასის ფინალის გმირი ხუან კარლოს ფერერო (9) რუმინული წარმოშობის მასპინძელ ენდრიუ ილის ვერ გაუმკლავდა.

კორტზე ექსტრავაგანტური ქცევით გამორჩეულმა ილიმ საკუთარი თავის გასამხნევებლად ხმის ჩახლეჩამდე იყვირა, თანამემამულეებიც აიყოლია და უშიშარი, აგრესიული თამაშით ფერერო გადამწყვეტ სეტში აშკარად დაჯაბნა 3:6, 6:2, 6:1, 1:6, 6:2. ავსტრალიელმა მატჩ-პოინტზე აულებელი ბექჰენდის დარტყმის შემდეგ ცდუნებას ვერ გაუძლო და გამარჯვება საფირმოდ, მაისურის ტანზე შემოხევით აღნიშნა, რაც მექნა, ტრიბუნებიდან მთხოვესო.

„არაჩვეულებრივია, ამ მატჩმა თავიდან ბოლომდე უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. დეკემბერში ავსტრალიისა და ესპანეთის გუნდებს შორის დევისის თასის ფინალს მხოლოდ ტელევიზორში ვუცქირე და გული ძალიან დამწყდა, რომ ბიჭებს ვერ ვამხნევებდი, ვერ ვეხმარებოდი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი პატარა შურისძიება იყო".

ავსტრალიელთა მთავარი ჯილა პატრიკ რაფტერი, ილისგან განსხვავებით, ჯერჯერობით უხმაუროდ მიიწევს წინ. „გასახდელში ენდრიუს მატჩებს ბევრნი ვუყურებთ და ერთად ვიცინით მის გამოხტომებზე. კორტზე იმდენ ენერგიას ხარჯავს, ასე წელიწადში 5-6 ტურნირს თუ გავწვდებოდი. მე მირჩევნია, ემოციებს არ ავყვე, თორემ ეს თამაშში შემიშლის ხელს".

რაფტერი, რომელიც შეიძლება სეზონის ბოლოს დიდი სპორტიდან წავიდეს, მეორე წრეში 19 წლის რუს ნიკოლაი დავიდენკოს ხვდებოდა და, ბევრისდა მოულოდნელად, იოლი გასეირნება სულაც არ გამოუვიდა. დავიდენკო პირველად ასპარეზობდა დიდი სლემის ტურნირზე, თუმცა ცენტრალურ კორტზე ჩოგბურთის ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავთან გაჯიბრების პერსპექტივამ დიდად ვერ შეაშინა და ავსტრალიელს თითქმის სამი საათი უძალიანდებოდა.

მეოთხე სეტის დასაწყისში რუსს ფეხის ტრავმის გამო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა უკანა ხაზიდან მისი უპირატესობა მატჩის ბოლომდე აშკარა იყო და რაფტერი ქულებს ძირითადად ბადესთან ოსტატური თამაშით ითვლიდა.

„ერთ მომენტში სერიოზულად შევშინდი, არ წავაგო-მეთქი. მისი მხრიდან ასე აგრესიულ და სტაბილურ თამაშს არ ველოდი, თავადაც მეტად უნიათოდ ვირჯებოდი. საკუთარი თავით უკმაყოფილო ვარ და შევეცდები, ხვალ ვარჯიშით გამოვასწორო შეცდომები. ასე „მეიჯორებს" არ იგებენ" — აღნიშნა ავსტრალიელმა 6:4, 2:6, 6:3, 7:6 (7:4) გამარჯვების შემდეგ.

**მეორე წრე. კაცები: ანდრე აგასი (6, აშშ)** — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:1, 6:3, 6:1; **პიტ სამპრასი (3, აშშ)** — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:5), 4:6, 7:5; **მიხაილ იუჟნი (რუსეთი)** — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 5:7, 7:6 (7:3), 6:2, 6:4; **ტოდ მარტინი (აშშ)** — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 1:6, 7:6 (7:5), 7:6 (9:7), 1:6, 6:2; **დომინიკ ჰრბატი (14, სლოვაკეთი)** — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)** — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 6:2, 6:3; **ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი)** — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1, 7:6 (7:3), 7:6 (9:7); **მარატ საფინი (2, რუსეთი)** — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 4:6, 6:3, 6:4, 7:6 (7:5); **ენდრიუ ილი (ავსტრალია)** — ხუან კარლოს ფერერო (9, ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:1, 1:6, 6:2; **დევიდ პრინოზილი (გერმანია)** — სესილ მემიტი (აშშ) 4:6, 3:6, 6:2, 6:3, 6:2; **სედრიკ პიოლინი (13, საფრანგეთი)** — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 7:6 (8:6), 1:6, 6:4, 6:4; **მიხალ კრატოხვილი (შვეიცარია)** — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 6:2, 6:7 (5:7), 6:3; **პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია)** — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 2:6, 6:3, 7:6 (7:4); **უეინ არტურსი (ავსტრალია)** — ივო ჰიბერგერი (შვეიცარია) 6:3, 3:6, 6:3, 3:6, 6:1

**ქალები: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ)** — გრეტა არნი (გერმანია) 6:2, 4:6, 6:2; **ჟიუსტინ ენენი (ბელგია)** — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **კიმ კლაისტერსი (15, ბელგია)** — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)** — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 3:6, 7:5, 6:2; **ანა კურნიკოვა (8, რუსეთი)** — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:3, 6:4; **რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი)** — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:7 (3:7), 6:1; **სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი)** — ჟინ-ჯიან უი (ჩინეთი) 6:4, 5:2 — ტრავმა; **ემილი ლუა (საფრანგეთი)** — მაგი სერნა (ესპანეთი) 7:5, 3:6, 6:1; **მონიკა სელეში (4, აშშ)** — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:2, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ)** — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:0, 6:2; **ბარბარა შეტი (ავსტრია)** — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 6:4, 6:2; **ემანუელა გალიარდი (შვეიცარია)** — კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) 5:7, 6:3, 8:6

**ავთანდილ სვანიძე**




კონჩიტა მარტინესს ხელები ემანუელა გალიარდიმ ააწევინა

## სხვადასხვა




კინაღამ ამოუვარდა! ვინუსის სამოსმა არა მხოლოდ ავსტრალია გააოგნა

**„სარბიელი"** ერთადერთი გაზეთი სულაც არ ყოფილა, ვინუს უილიამსს, უფრო სწორად, მის გასაოცარ საჩოგბურთო ალკაზმულობას ბურთი და მოედანი რომ დაუთმო — გუშინ მწვანე კონტინენტის თითქმის ყველა გამოცემის პირველ გვერდზე შავი ვენერა გამოჭიმულიყო.

„ტანზე გახდის მდგომარეობა" — ასეთი იყო მარკ რობინსონის აზრი „ჰერალდ სანიდან", „მოდის დანაშაულები" — გაზეთი „ეიჯი"; „ეტყობა, ვინუსმა ბარბის ბიკინი უყიდა და ნახევარი საკუთარ კისერზე შემოიხვია" — „მელბურნ თაიმსი". ყველაფერი ეს უილიამსის მაისურას ეხება, რომელიც რატომღაც ზედ ბიუსტზე ორად იყო გაჭრილი და ჩოგბურთელს აიძულებდა, გამუდმებით მის სწორებაში ყოფილიყო.

გაზეთ „ავსტრალიელში" ჩოგბურთის ექსვარსკვლავმა, ამერიკელმა პემ შრაივერმა საკუთარი აზრი გამოთქვა: „მოსაწოდებლად ბურთის ყოველ მაღლა აგდებაზე ვფიქრობდი, ო, ღმერთო, ისინი ხომ არ ამოუვარდება-მეთქი (მიუხვედრელთათვის: ლაპარაკია უილიამსის მკერდზე). საბედნიეროდ, გადავრჩით. ჩემს დროს ყველაფერი მარტივად იყო. არა მგონია, ბევრ ჩვენგანს ეგრძნო თავი კომფორტულად ვინუსის მოწყობილობაში".

ერთი-ორი მწარე სიტყვა უილიამსს კოლეგებმაც გადაუკრეს, რომელთაც ამ უკანასკნელის 40-მილიონიანი კონტრაქტი „რიბოკთან" აშკარად ეკლად ხვდებათ გულზე. „ეგ შედევრი თავად მისი შექმნილი იყო?" — იკითხა მარტინა ჰინგისმა. „ცოტა უცნაური რამ იყო ასეთ სამოსში ჩოგბურთის თამაში" — აღნიშნა ლინდსი დევენპორტმა.

თუმცა დიდი აღფრთოვანება არც თავად დევენპორტის „ნაიკმა" გამოიწვია. ერთი ენამოსწრებული დამკვირვებლის თქმით, ის 70-იანი წლების აბანოს ფარდიდან გამოჭრილს წააგავდა.

თავად უილიამსები დაცინვას არ შეუშინებია და სავსებით შესაძლებელია, უახლოეს ორ კვირაში რაიმე შოკისმომგვრელი კიდევ შემოგვთავაზონ. „სხვა გოგონები ცდილობენ, არ ჩამოგვრჩნენ, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ჩვენ ერთადერთები და განუმეორებლები ვართ" — ეს ჭყეტელა, მოვარდისფრო კაბაში გამოწყობილი სერენას სიტყვებია.

* * *

**მშვენიერი** სქესის წარმომადგენელთა ჩრდილში მოქცეული კაცებისთვის გაზეთების პირველ გვერდზე წამოჭიმვის ერთადერთი შანსი დეკოლტეების ტარება კი არა, ხეირიანად თამაშია, ამიტომ ამ ბოლო ხანს სარეკლამო კონტრაქტებითაც კი ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქალებს.

თუ ვინუს უილიამსმა „რიბოკს" 5 წელიწადში 40 მილიონი დოლარი დასცინცლა, ერთ-ერთმა საუკეთესო ახალბედა ჩოგბურთელმა ვაჟმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა „ნაიკისგან" შედარებით მოკრძალებულ თანხას — 15 მილიონს გამოჰკრა ხელი. არადა, 19 წლის ოზი უკვე მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანია და, ბევრის აზრით, უახლოეს მომავალში კლასიფიკაციაში პირველობას მარატ საფინი თუ შეეცილება.

„მისებრი ნიჭისა და ხასიათის მქონე ახალგაზრდა ჩოგბურთელს სხვას ძნელად თუ იპოვით. ის მაყურებლებსა და ქომაგებს დაუვიწყარ სანახაობას ჩუქნის და ბავშვებშიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს" — ასეთი გახლდათ „ნაიკის" იურიდიული სამსახურის თავკაცის, ჯონ სლაშერის კომენტარი.

კონტრაქტში ისეთი მუხლებიცაა გათვალისწინებული, რომელთა მიხედვით ავსტრალიელის საზღაური რამდენიმე მილიონით გაიზრდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ ის დიდი სლემის ტურნირს მოიგებს ან პირველი ჩოგანი გახდება. „ნაიკის" გარდა ამჟამად ჰიუიტს ჩოგნების ფირმა „იონექსთან" მეტად სარფიანი კონტრაქტი აკავშირებს, იაპონიის ტელევიზიით მაკარონს უკეთებს რეკლამას და მწვანეების გარკვეულ რაოდენობას საკუთარი იმიჯის კომპიუტერულ თამაშებში გამოყენების ნებართვისთვისაც იღებს.

* * *

**მსოფლიოს** პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს დედა — მელანი მოლიტორი ყოველ ტურნირზე დაჰყვება, წვრთნის და გვერდიდან არ შორდება, აი, მამის შესახებ კი შეიძლება, საერთოდ არაფერი იცოდეთ.

49 წლის კაროლ ჰინგისი ამჟამად სლოვაკეთში, ქალაქ კოშიცეში ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ სუპერვარსკვლავი შვილი ჰყავს, მაინცდამაინც არ ულხინს. უფროსი ჰინგისი საჩოგბურთო კლუბის ერთი რიგითი მუშაკია, მას კორტების მოწესრიგება ევალება.

მარტინას ხათრით კაროლი ცდილობს, არასოდეს მოექცეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში და ჟურნალისტებსაც ძალიან იშვიათად თანხმდება ინტერვიუზე.

„ჩემი და ჩემი ქალიშვილის ურთიერთობა ბეწვზე ჰკიდია და მართალია, ისეთი არ არის, როგორც მე მინდა იყოს, მაგრამ ვცდილობ, კიდევ უფრო არ გავაფუჭო" — განუცხადა ყოველკვირეულ გაზეთ „პლუს 7 დნის" უფროსმა ჰინგისმა.

მელანი მოლიტორთან 13 წლის წინ განქორწინების შემდეგ კაროლს მარტინასთან იშვიათად ჰქონდა ურთიერთობა. 1987-ში ისინი შვეიცარიაში გადავიდნენ საცხოვრებლად, უფროსი ჰინგისი კი სლოვაკეთში დარჩა და დედის ბინას დაუბრუნდა.

ჩეხოსლოვაკიის კანონების თანახმად, კაროლმა ქალიშვილის ემიგრაციაზე წერილობითი თანხმობა მისცა: „ამის გაკეთება ჩემთვის იოლი არ ყოფილა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად ვიქცეოდი და ადრე თუ გვიან მარტინა ჩემი მადლიერი იქნებოდა".

მომავალ მსოფლიოს პირველ ჩოგანს და მის მწვრთნელ დედას შვეიცარიაში თავიდან ძალიან გაუჭირდათ — თუ სლოვაკეთში კორტებზე ვარჯიში უფასო იყო, ალპურ ქვეყანაში ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ, მაგრამ მელანი მალე კომპიუტერის სპეციალისტს გაჰყვა ცოლად და ფინანსური პრობლემები თავისთავად მოგვარდა.

სამაგიეროდ, სლოვაკეთში დარჩენილ კაროლს დღევანდლამდე მხოლოდ ტელევიზორით უხდება ქალიშვილის მატჩების ცქერა. მარტინა მას ძალიან იშვიათად, ტელეფონით თუ ეხმიანება, ან მეზობელ ჩეხეთში სტუმრობის დროს შეხვედრაზე თანხმდება. უფროსი ჰინგისის მწირ კოლექციაში ქალიშვილის მიერ ნაჩუქარი ორი „იონექსის" ჩოგანია.

იმაზე, თუ რითი ვერ მოიგო მარტინას ან თუნდაც ყოფილი მეუღლის გული, ინტერვიუში არაფერი თქმულა.

# იაგუარი

გუნდი დაარსდა 1988 წელს (2000 წლამდე „სტიუარტი“).
**პრეზიდენტი:** ნილ რესლერი
**აღმასრულებელი დირექტორი:** ბობი რეიჰალი
**ბოლიდი — 2001:** „იაგუარი R 02“
**ძრავა:** „ფორდ-კოსუორტი V10 CR3“
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1997 წლიდან
66 რბოლა, 1 მოგება, 51 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — IV (1999)
ტესტ-პილოტი ტომას შექტერი (სამხრეთ აფრიკა)



**ედი ირვინი**
**დიდი ბრიტანეთი**

დაიბადა 1965 წლის 10 ნოემბერს ნიუტაუნარდსში (ჩრდილოეთ ირლანდია). ცხოვრობს დუბლინში (ირლანდია)

სიმაღლე 178 სმ, წონა 70 კგ

უცოლო, ჰყავს ქალიშვილი ზოია

დებიუტი ფორმულა 1-ში: იაპონიის დიდი პრიზი (1993)

პირველი გამარჯვება: ავსტრალიის დიდი პრიზი (1999)

113 რბოლა, 4 მოგება, 1 უსწრაფესი წრე, 177 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეორე ადგილი (1999)

2000 წელს დაიკავა მე-13 ადგილი (4 ქულა)

ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1993-95), „ფერარიში“ (1996-99)

„იაგუარშია“ 2000 წლიდან



**ლუჩანო ბურტი**
**ბრაზილია**

დაიბადა 1975 წლის 5 მარტს სან პაულუში

უცოლო

დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრიის დიდი პრიზი (2000)

1 რბოლა, 0 ქულა

„იაგუარშია“ 2000 წლიდან

JAGUAR

*ტრადიციულად იანვარ-თებერვალი ახალი ბოლიდების გამოცდასთან ერთად, საზოგადოებისთვის მათი ოფიციალური წარდგენის პერიოდია. ფორმულა 1-ის მორიგი პირველობის დაწყებამდე არც ისე ბევრი — ზუსტად თვენახევარია დარჩენილი, ასე რომ, ტექნიკურ-კონსტრუქციული პარამეტრების გაუმჯობესების საქმე გუნდებს პრაქტიკულად მოთავებული აქვთ და 4 მარტს დანიშნულ პირველ რბოლამდე დრო მანქანებთან შეჩვევასა და მათ მორჯულებას მოხმარდება.*

## იაგუარს ახალი მომთვინიერებელი ჰყავს

**წლევანდელი** 52-ე ჩემპიონატის მონაწილე 11 გუნდიდან ახალი მოდელი საქვეყნოდ პირველად „იაგუარმა“ გამოამზეურა ქოვენთრიში მოწყობილ გრანდიოზულ პრეზენტაციაზე. ინგლისურ-ამერიკული საჯინიბოს ბოლიდების ხასხასა მწვანე ფერიცა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებიც იგივე დარჩა, თუმცა გარკვეული სიახლეები, ცხადია, მაინც არის. უმთავრესი ცვლილება ძრავას შეეხო: წლევანდელი „ფორდ-კოსუორტი“ ისევ ათცილინდრიანი კია, მაგრამ წინამორბედისგან განსხვავებით, ერთიით მეტი, შვიდსიჩქარიანი გახდა. ახალი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეიცვალა წინა და უკანა ფრთების აეროდინამიკური მახასიათებლებიც. გარდა ამისა, ფორმულის ყველაზე „უმცროსმა“ გუნდმა იაპონურ „ბრიჯსტოუნს“ სამეფო რბოლებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებული ფრანგულ კონცერნ „მიშელინის“ საბურავები ამჯობინა.

მოხდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებიც. „იაგუარს“ ახალი აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკელი ბობი რეიჰალი ჩაუდგა სათავეში. ყოფილ მრბოლს, „კარტის“ სერიის სამგზის გამარჯვებულს, ფორმულაშიც უცდია ძალა — 1978 წელს „ვოლფის“ საჭესთან ორ ეტაპზე იასპარეზა. ახალი შეფი უკვე წელსვე გეგმავს, თავისი გუნდი რეალურ ძალად აქციოს. გამოცდილ ედი ირვინთან ერთად „მწვანეების“ ღირსებას ყოფილი ტესტ-პილოტი ლუჩანო ბურტიც დაიცავს. მისი კარიერა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ რბოლაში მონაწილეობით შემოიფარგლება — შარშან ავსტრიის დიდი პრიზის გათამაშებისას უქეიფოდ მყოფი ირვინი შეცვალა.

რაც შეეხება პერსპექტივას, ირვინიცა და ხელმძღვანელობაც ბევრს არაფერს გეგმავს. ირლანდიელი პილოტი თვლის, რომ მათთვის მშვენიერი შედეგი იქნება ოციოდე ქულის დაგროვება და კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე-მეხუთე ადგილისთვის ჭიდილი. შეგახსენებთ, რომ „იაგუარმა“ შარშან სულ ოთხი ქულა მოაგროვა და მხოლოდ მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა, რაც გუნდის ოთხწლიან ისტორიაში ყველაზე უსუსური შედეგია.

ბოლოს მთავარ მაცოცხლებელ ძალაზე, ანუ სპონსორთა შესახებ. „იაგუარს“ წლეულს ფინანსებით 18 ფირმა დაეხმარება, მათ შორის HSBC, MCI, DHL, „ჰიულეტ პეკარდი“, „ბეკსი“, „ბრიჯსტოუნი“, „ტექსაკო“, „როლექსი“, „ვოლვო“.

**გია ახალაძე**



ახალი „იაგუარით“ ლუჩანო ბურტი და ედი ირვინი ირბოლებენ


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**
**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე დანაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**



აპოლონი და ომფალოს ქვაზე დასვენებული მის მიერ მოკლული პითონი

# აპოლონმა გველი მოკლა და უკვდავებაც დაიწყო

## პითიური თამაშები

***აღმოსავლური კალენდრის მიხედვით გველის წელიწადი დაგვიდგა. და გაგვახსენდა, რომ ანტიკურ ხანაში იყო დრო, როცა ოლიმპიური თამაშების მსგავსად პითიური თამაშები ეწყობოდა, სიტყვა „პითიური“ კი პითონის სახელიდან წარმოსდგება.***

***იმ თამაშებსა და აღმოსავლურ კალენდარს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. მეტიც, ძველ ბერძნებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამგვარი კალენდრის არსებობაზე. ისინი დროს თავიანთი ოლიმპიური კალენდრით ითვლიდნენ, მაგრამ ახლა, როცა წლევანდელი წელი განსაკუთრებულია და ახალი ათასწლეულის ათვლა გველის წელიწადით იწყება, ალბათ, უპრიანი იქნება პითიური თამაშების გახსენება, ზოგისთვის კი გაცნობა.***

**პითიური** თამაშები ოლიმპიურის მსგავსი ასპარეზობა იყოო, ვთქვით და ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ იმ ხანად სხვა იმგვარივე პანელინური შეჯიბრებებიც ეწყობოდა. ესენი იყო: ნემეური (473 წ. ძვ. წ.), ელეფტერიული (479), პანათენური (565), ისტმიური (586), დელოსური და დიონისესადმი მიძღვნილი თამაშები. ამ თამაშებზე გამარჯვებაც არანაკლებ საამაყო იყო. ამაზე მეტყველებს ქსენოფონტეს (570-480 წ.წ. ძვ. წ.) ელეგიაც, სადაც ნათქვამია, რომ ოლიმპიას ველზე ან პითოსში გამარჯვებულთ დიდად დააფასებენ მათი ქალაქები. გამარჯვებულნი საპატიო ადგილს დაიკავებენ, სახელმწიფო მათ უბოძებს ფასდაუდებელ პრიზებს, ხაზინა კი კვების ხარჯებს გაიღებსო. ქსენოფონტე არაფერს ამბობს სიმბოლური გვირგვინით დაჯილდოებასა და გამარჯვებულის ქანდაკების აღმართვაზე, სხვა პრივილეგიებზე, რაც თავისთავად იგულისხმება.

ამგვარ თამაშებში გამარჯვებას, ისე როგორც ოლიმპიურ სარბიელზე, თავიანთ დამსახურებათა ნუსხაში სიამაყით მოიხსენიებენ თავად ათლეტები და სხვებიც. ამაზე მეტყველებს გამარჯვებულთა ქანდაკებების კვარცხლბეკზე ამოტვიფრული წარწერები. მაგალითად, ერთ-ერთი ათლეტი ამბობს, მე, ელინელმა მოჭიდავე არისტოდამმა, ფრასესის შვილმა ხუთჯერ გავიმარჯვე ნემეის, დელფოს (იგივე პითიურ) და ოლიმპიურ თამაშებზეო. სხვა გამარჯვებულის, დიდიმისის შვილ კილის კვარცხლბეკზე კი ვკითხულობთ, მან ორჯერ იმარჯვა პითიურ, ხუთჯერ ისტმიურ, ოთხჯერ ნემეურ და დიდ პანათენურ თამაშებზეო.

და მაინც, ამ ასპარეზობათაგან თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით, ოლიმპიური თამაშების მერე, მეორე იყო პითიური თამაშები.

პითიური თამაშები იმართებოდა შუა საბერძნეთში პარნასის მთის ძირას მდებარე ფოკიდაში, დელფოს სამისნოსთან და ამიტომაც მას ზოგჯერ დელფიურ თამაშებადაც მოიხსენიებენ.

მითის თანახმად, ამ თამაშების დაარსება დაკავშირებულია ბერძენთა პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ღვთაება აპოლონთან, ვინც ძლიერებით და მშვენიერებით სხვა ღმერთებზე აღმატებულია. აპოლონის სახელი იმთავითვე დაუკავშირდა პითონს, რომელიც ისრით განგმირა და ამ ღვთაების პირველი საგმირო საქმეც სწორედ ეს აღმოჩნდა, რის გამოც მერე პითიური თამაშები დააწესა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ზევსისგან დაფეხმძიმებულ ქალღმერთ ლეტოს ეჭვიანმა ჰერამ პითონი დაადევნა და თან დედამიწას აუკრძალა მშობიარეს მიღება. ამ საბედისწერო ჟამს ზევსის ბრძანებით ეგეოსის ზღვიდან ამოიზიდა კუნძული დელოსი, სადაც ლეტომ შვა აპოლონი და არტემიდე.

აპოლონის მიერ პითონის მოკვლაზე სხვადასხვა თქმულება არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, აპოლონმა ჯერ კიდევ ყრმამ, დედის მკერზე რომ იყო მიხუტებული, იმ უშველებელ გველს ხახაში ისარი სტყორცნა და განგმირა.

სხვა ვერსიით, როცა ჭაბუკი აპოლონი დელფოს ველზე სატაძრე ადგილს ეძებდა, უფსკრულიდან ამოიგრაგნა ვეება პითონი, რომელიც შუქისა და გაზაფხულის ღმერთმა, მრავალ ხელოვნებათა მფარველმა ოქროს ისრებით განგმირა. ევრიპიდეს ტრაგედიებში ეს ოქროს ისრები მზის სხივებია.

ასე იყო თუ ისე, აპოლონმა პითონის მოკვლის ადგილზეააგო თავისივე სახელობის ტაძარი, გამართა სამისნო, რომლის ორაკულსაც გველის სახელი ეწოდა და დააწესა პითიური თამაშებიც. მერე ბერძნები თვით ზევსის ტაძარსაც კი არ ეტანებოდნენ ისე, როგორც აპოლონის სამისნოს.

მითები მითებად, ისტორიული წყაროები კი მოგვითხრობენ, რომ პითიური თამაშები დაკავშირებულია კრისის წინააღმდეგ პირველ საღმრთო ომში (590 წ. ძვ. წ.) ალიანსის სათავეში მყოფი დელფოს გამარჯვების აღსანიშნავად.

პითიადებში, ოლიმპიურ თამაშების მსგავსად, იმართებოდა როგორც სპორტსმენთა შეჯიბრებები, ისე ხელოვანთა კონკურსები. და მაინც, ამ ორ პანელინურ თამაშებს შორის განსხვავებაც იყო. ოლიმპიურ თამაშებზე წინა პლანზე წამოწეული იყო სპორტული ასპარეზობანი და მის პროგრამაში ხელოვანთა კონკურსები მოგვიანებით, ქრისტეს შობამდე 444 წლიდან, 84-ე ოლიმპიური თამაშებიდან დამკვიდრდა. მასში ხელოვანთა კონკურსები ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და ამ მხრივ ათლეტთა შეჯიბრებებს ვერ უტოლდებოდა, პითიურ თამაშებზე კი ყველაფერი პირიქით იყო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი აპოლონს ეძღვნებოდა, აპოლონი კი ლამის ყველაფრის ღმერთობასთან ერთად არის მუსიკის, პოეზიისა და საერთოდ მუზების ღვთაება მას მერე, რაც ჰერმესისგან მიიღო ლირა და მრავალთაგან კიდევ ერთი ზედმეტი სახელი „მუზაგეტოსი“.



ესქილეს მიხედვით, როცა დელოსიდან მოსულმა აპოლონმა მოკლა გეას მრისხანე ნაშიერი პითონი, რისი უფლებაც არ ჰქონდა ზევსისა და ტიტან კოიოსის ასულის შვილს, მეტსახელად ფებოსს („სხივოსანი“), ღმერთებმა ეს ძალადობად ჩათვალეს და აპოლონი მოკვდავაა სამსახურში ჩააყენეს. ბერძენთა პანთეონის ეს უზენაესი ღვთაება რვა წელიწადს იხდიდა და ინანიებდა სასჯელს, ვიდრე სიკიონში (ან ტემპეს ხეობაში — თესალიაში) არ განიწმინდა, მერე კი პითიური თამაშები დააწესა. პითიადები თავდაპირველად სწორედ რვა წელიწადში ერთხელ, ყოველი იმ „დიდი წლის“ დასასრულს იმართებოდა, შემდეგ კი, 48-ე „ოლიმპიადის“ მესამე წლიდან ოთხ წელიწადში ერთხელ (აგვისტო — სექტემბრის შუალედში).

აპოლონის სადიდებელი დღესასწაულები გაზაფხულზეც ეწყობოდა, როგორც შუქისა და სიმღერის, სიჭაბუკისა და სიხარულის ღვთაების ზეიმები; აქციუმში, სადაც გადმოცემით არგონავტებმა ტაძარი ააშენეს, სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ ატარებენ შეჯიბრებებს — აქციას (გემების ბრძოლა).

აპოლონის კულტი იმდენად დიდი იყო, რომ იგი ადრევე მიიღეს რომაელებმაც. პუნიკური ომებისას მისი სახელობის ასპარეზობაც დააწესეს. იმპერატორმა ავგუსტუსმა მის პალატინზე მთელს რომში ერთ-ერთი უმდიდრესი და დიდებული ტაძარი აუგო (31 წ. ძვ. წ.). მანვე დააწესა მისი სახელობის „საუკუნო ასპარეზობანიც“, რომლის პროგრამაში იყო: ტანვარჯიში, ხოფიან გემთა შეჯიბრება, რბოლა, არტისტული თამაშები, მაგრამ ეს ყველაფერი თავიანთი მასშტაბურობით ვერ უტოლდებოდა პითიურ თამაშებს, სადაც ხდებოდა გველის მოკვლის, მერე ტემპეის ხეობაში აპოლონის განწმენდისა და დელფოში შემობრუნების ინსცენირება; აქ მღეროდნენ ჰიმნებს, პეანებს, რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდა ლიტერატურაში როგორც ძეგლი და ტერმინი.

პითიურ თამაშებზე მოგვიანებით დაფუძნდა სპორტული პაექრობანიც, რომელთა პროგრამა სულ უფრო ფართოვდებოდა. იქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საუკეთესო ცხენოსნები, მძლეოსნები, მოკრივეები, მოჭიდავეები... პითიურ თამაშებზე ყველაზე მეტჯერ გაუმარჯვნია მოჭიდავე მილონს (VI ს. ძვ. წ.), რომლის ქანდაკების წარწერაც გვამცნობს, რომ ეს უმშვენიერესი ფიგურა უმშვენიერესი მილონისაა, ვინც პითიის სარბიელზე შვიდჯერ ისე გაიმარჯვა, რომ მუხლით დედამიწას არ შეხებიაო, ბერძნული ლირიკული პოეზიის ფუძემდებელ ტერპანდროს კი ოთხჯერ უზეიმია გამარჯვება.

ირკვევა, რომ პითიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება ყველას არ ჰქონდა. წესის მიხედვით, მისი მონაწილე, „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის“ პრინციპიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო „ჯანმრთელი და ლამაზი აღნაგობის“ (Kagot და Kagatiot). ამიტომაც „ბებერი ევროპის“ უძველესი და უპირველესი პოეტი, თვით ჰომეროსიც კი ამოშალეს მონაწილეთა სიიდან, რადგან იგი გადმოცემით ბრმა იყო.

მაგრამ პითიური თამაშების შემოქმედთა პაექრობაში მონაწილეობისთვის მხოლოდ „ჯანმრთელობა და ლამაზი აღნაგობა“ საკმარისი არ ყოფილა. გადმოცემის მიხედვით „პოეტების პაპად“ წოდებულ ჰესიოდესაც კი არ მისცეს პითიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება, რადგან იგი ცუდად უკრავდა ციტრაზე. პითიურ თამაშებში გამარჯვება იმდენად ძნელი იყო, რომ იქ დამარცხების შიშით თვით მუზასა და ორფეოსსაც კი უარი უთქვამთ მასში მონაწილეობაზე.

მართალია, ვსაუბრობთ მითიურ და იმ ისტორიულ პიროვნებებზე, რომლებიც პითიური თამაშების დაარსებამდე მოღვაწეობდნენ, მაგრამ ლეგენდადქცეული მათი სახელების ამ ასპარეზობებთან დაკავშირება გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს აპოლონის სადიდებელ შეჯიბრებებში მონაწილეთა შერჩევის პრინციპზე.

პითიურ თამაშებზე სპორტულ თუ ხელოვანთა პაექრობაში გამარჯვებულთ, ისე როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, დიდ პატივს მიაგებდნენ. ოლიმპიურ ჩემპიონებს თუ დაფნისა და უფრო ზეთისხილის რტოებით აჯილდოებდნენ, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა, პითიური თამაშების გამარჯვებულთ მხოლოდ დაფნის გვირგვინით ამკობდნენ.

მითის მიხედვით, აპოლონს შეუყვარდა ფერია დაფნე, რომელმაც ღმერთის მიჯნურობა იუარა და გაიქცა, მაგრამ როცა აპოლონი არ დაეხსნა, ხელები აღაპყრო და ღმერთებს შეევედრა, ხედ მაქციეთო. მისი მუდარა ისმინეს და დაფნე მისივე მშობელმა დედა გეამ ხედ აქცია.

მას მერე დაფნა აპოლონის წმინდა ხედ ითვლება და მისი ფოთლებისგან შეკრული გვირგვინი სპორტში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში დიდების ნიშანია.

ასე იყო თუ ისე, ოლიმპიური თამაშები და პითიური თამაშები ერთმანეთს ავსებდნენ, ალამაზებდნენ და აყალიბებდნენ სპორტულ და კულტურულ მემკვიდრეობას.

**ავთანდილ გურასაშვილი**



დელფოს სტადიონი



ზემოთ — პითიური თამაშებისადმი მიძღვნილი მონეტა; ქვემოთ — დელფოელ მეეტლე პოლუზალოს ფიგურა, რომელიც პითიურ თამაშებში მის გამარჯვებას მიუძღვნეს



ათლეტთა ვარჯიში ფლეიტის დამკვრელის რიტმის თანხლებით

# მაკალუ დაპყრობას გადაურჩა, მთამსვლელები — დიდ ხიფათს

პოლონელ მთამსვლელთა ვიწრო სპეციალობა, შეიძლება ითქვას, ჰიმალაის რვაათასიან მწვერვალებზე ზამთრის ასვლებია. იქ ალმართულ რვიდან შვიდ მწვერვალზე სწორედ პოლონელები არიან ზამთარში პირველამსვლელები. 2000-2001 წლების მიჯნაზე პოლონელთა ათკაციანი გუნდი, რომელშიც თბილისელი გია თორთლაძეც იყო, კშიშტოფ ვიელიცკის მეთაურობით ჰიმალაიზე ზამთარში დღემდე აუღებელ მაკალუს დამორჩილებას ცდილობდა.

ამ ლაშქრობის შესახებ დროდადრო ვიუწყებოდით, ახლა კი შეგახსენებთ, რომ პოლონელებს გადამწყვეტი იერიში გასული კვირის ბოლომდე უნდა მიეტანათ ამ მწვერვალზე. საქმე ის იყო, რომ მათ მაკალუს ფერდობებზე ყოფნის ვადა გუშინ გაუვიდათ. ამოეწურათ საწვავისა და საკვების მარაგი და ალბათ ენერგიაც, რადგან ასეთ გიგანტზე ასვლა ზამთარში ერთიორად რთული და სახიფათოა.

ასე იყო თუ ისე, პოლონელთა ბოლო ინფორმაციით 11 იანვარს საბაზო ბანაკის ზემოთ ოთხი მთამსვლელი აღმოჩნდა. მათგან ექსედიციის მეთაურმა და კიდევ ერთმა მთამსვლელმა ზალუსკიმ ბოლო, მესამე საიერიშო ბანაკიდან (7400 მ.) სცადეს მწვერვალზე გადამწყვეტი იერიში, ამ დროს მეორე ბანაკში (6900 მ.) კი იყვნენ მხოლოდ თორთლაძე და ლეშიცკი, რომლებიც ალბათ მოწინავე წყვილის წარმატების შემთხვევაში თავადაც ეცდებოდნენ ასვლას.

სამწუხაროდ, გუშინ თორთლაძისგან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ექსპედიციამ მიზანს ვერ მიაღწია და მწვერვალიდან ბრუნდება. უფრო ადრინდელი, პოლონელთა ინფორმაციის თანახმად მათი ევაკუაცია საბაზო ბანაკიდან შვეულმფრენით განხორციელდება.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ პოლონელ მთამსვლელებს საერთოდ დიდი მიზანი აქვთ. მათ განუზრახავთ დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანზე ზამთარში ლაშქრობა, რათა წელიწადის ამ დროს ისინი ამ ბუმბერაზებზე პირველამსვლელები გახდნენ და გამოიკვლიონ ეს ცათამბჯენები. მაკალუ ამ პროგრამის პირველი ეტაპი იყო, მეორე მიზანი კი გახლდათ K-2, იგივე ჩოგორი.



გია თორთლაძე, მაცეო პავლიკოლსკი და პიოტრ სნობჩიცკი 6900 მეტრზე მეორე საბანაკე ადგილს ამზადებენ, მაგრამ მათ ჯერ არ იციან, რომ ამაოდ ირჯებიან

**ავთანდილ ტყვიშელი**



# ოტავა ასე შორს ვერ წავა

16 იანვარი

**ბუფალო — ტამპა 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 ბარნსი 5'31 (10); 2:0 შატანი 29'07(15); 3:0 ბარნსი 45'40 (11); 3:1 კიფი 50'36 (4)

**რეინჯერსი — ფილადელფია 4:3**

0:0 1:2 2:1 1:0

0:1 ტოკეტი 24'44 (10); 0:2 რანჰეიმი 25'01 (7); 1:2 კლუჩეკი 38'09 (1); 2:2 დვორჟაკი 49'51 (12); 2:3 დეჟარდენი 53'04 (7); 3:3 ფლერი 57'08 (25); 4:3 ფლერი 62'46 (26)

**ნიუ ჯერსი — ბოსტონი 4:5**

0:0 1:1 3:4

1:0 სტივენსონი 26'15 (4); 1:1 ტორნტონი 33'29 (14); 2:1 სტივენსონი 40'26 (5); 2:2 სამსონოვი 43'17 (18); 2:3 ტორნტონი 46'12 (15); 3:3 მოგილნი 46'38 (22); 4:3 ელიაში 47'45 (17); 4:4 კოვალენკო 57'52 (14); 4:5 გერინი 58'39 (26)

**ნეშვილი — ედმონტონი 1:2**

0:1 1:1 0:0

0:1 მორო 11'05 (5); 1:1 ტიმონენი 24'37 (7); 1:2 პოტისი 26'57 (3)

**კოლორადო — აილენდერსი 4:1**

1:1 1:0 2:0

0:1 გელი 4'55 (6); 1:1 შეიდუკი 19'04 (23); 2:1 საკიკი 31'36 (26); 3:1 დედმარში 43'05 (8); 4:1 შეიდუკი 54'44 (24)

**მონრეალი — კაროლინა 2:3**

2:0 0:0 0:2 0:1

1:0 კილგერი 10'03 (8); 2:0 პეტროვი 19'13 (7); 2:1 კაპანენი 42'56 (13); 2:2 ვასიჩეკი 59'22 (6); 2:3 ფრენსისი 60'33 (11)

**ვანკუვერი — დეტროიტი 2:4**

0:3 2:1 0:0

0:1 ბრაუნი 3'59 (7); 0:2 მაკარტი 7'28 (8); 0:3 ფიოდოროვი 17'28 (22); 1:3 დ. სედინი 25'58 (11); 2:3 ბერტუცი 26'57 (16); 2:4 შენაჰანი 37'39 (16)

**ოტავა — ლოს ანჯელესი 6:7**

2:0 3:5 1:1 0:1

1:0 ჰოსა 4'18 (9); 2:0 მაკიკერნი 12'41 (15); 3:0 ალფრედსონი 24'13 (9); 4:0 იაშინი 28'14 (16); 4:1 სმოლინსკი 31'29 (13); 5:1 ჰნიდი 31'48 (1); 5:2 შნაიდერი 33'58 (12); 5:3 სმოლინსკი 35'12 (14); 5:4 რ. ბლეიკი 36'10 (15); 5:5 რობიტაილი 39'15 (20); 6:5 რაჩუნეკი 50'14 (1); 6:6 რობიტაილი 51'36 (21); 6:7 სმოლინსკი 62'01 (15)

სპორტის ნებისმიერ სათამაშო სახეობებში არითმია ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია. გამონაკლისს არც ჰოკეი წარმოადგენს. მთელი 60 წუთის განმავლობაში უმაღლესი ტემპით თამაშს აბა, ვინ გაუძლებს. შიგადაშიგ გუნდმა აუცილებლად უნდა სული მოითქვას, მაგრამ არითმია ერთია და არასტაბილურობა და გაუწონასწორებლობა მეორე. ეტყობა, სწორედ ეს სენი სჭირს ოტავას, რომელიც წარმოუდგენლად ფლანგავს ორ ან სამშაიბიან უპირატესობას, თან გულით სურს, ბოლოებს შორის მოხვდეს.

ლოს ანჯელესთან მატჩი ოტაველებმა დიდებულად დაიწყეს, პირველი პერიოდი ჩინებულად გამოუვიდათ. მასპინძლებმა ერთმანეთის მიყოლებით გაათამაშეს კომბინაციები, არასტანდარტული პასებითა და გააზრებული მოქმედებით ააწიოკეს მეტოქის დაცვა, ამიტომაც პირველი პერიოდის ანგარიში რომ მხოლოდ 2:0 იყო, ეს „სენატორთა" უიღბლობით აიხსნება, თუმც თავბრუდახვეულმა „მეფეებმა" მეორე პერიოდში ხშირი ჯარიმებით კიდევ უფრო გაუიოლეს საქმე მოწინააღმდეგეს და ანგარიში 5:1 გახდა. აი, აქ კი დაიწყო ის, რასაც ზემოთ ოტავური სინდრომი დავარქვით. განწირულმა სტუმრებმა უმარტივეს ტაქტიკას მიმართეს (შაიბას წამდაუწუმ გზავნიდნენ კარისკენ ალალბედად), თუმც ამან მოულოდნელად შედეგი გამოიღო. სენატორები პანიკამ მოიცვა და რაღაც 140 წამის განმავლობაში ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო პერიოდის ბოლო წუთზე ლუკ რობიტაილმა კარიერაში 573-ე გოლი გაიტანა და ლიგის ისტორიაში მე-13 ადგილზე მყოფ ლეგენდარულ მაიკ ბოსის გაუტოლდა. მართალია, ბოლო მესამედში მასპინძლები იმდენს აღარ სცოდავდნენ, მაგრამ ოვერტაიმს ვერ ასცდნენ. მერე იქაც კვლავ უხეშად შეცდნენ და ბრაიან სმოლინსკის საშუალება მისცეს, კარიერაში მეორე ჰეთ თრიქით „მეფეთათვის" გამარჯვება მოეტანა.

ნიუჯერსელ რეინჯერებს კი სხვა რამ სჭირთ — ვარსკვლავებით გადაჭედილ კლუბს გუნდური სულისკვეთება აკლია და ამიტომ წლეულს ჩინებულად მოთამაშე ტეო ფლერი პარტნიორთა დახმარებას მოკლებულია. თუმც ამჯერად „ჯუჯამ" შეძლო ის, რაც მხოლოდ უმაღლესი კლასის ოსტატებს ძალუძთ. პრაქტიკულად მარტო ტეომ შეძლო ორშაიბიანი სხვაობის გაქვითვა, ოვერტაიმშიც თავად გადაწყვიტა მატჩის ბედი და 4 (2+2) ქულით თავისი მარაგი 61 ქულამდე გაზარდა.

ისე, იმ დღეს ყველამ გამოიჩინა თავი, ვისაც ხალხმა „ოლ სტარის" საუკეთესო ექვსეულში მიუჩინა ადგილი. მხოლოდ დომინიკ ჰაშეკს უნდა უმადლოდეს ბუფალო, რომ ტამპას იოლად გადაურჩა. ორნახევარი პერიოდის განმავლობაში „დომინატორი" სასწაულებს სჩადიოდა (41 დარტყმა მოიგერია).

აი, კაროლინელი რონ ფრენსისი კი შესაძლებელია, ვერ მოხვდეს „ოლ სტარზე", მაგრამ ის, რომ 37 წლის ვეტერანი დღესაც კაროლინას ლიდერად რჩება, ეჭვს არ იწვევს. მისი ზუსტი პასის შემდეგ ჯეფ ონილმა თავისი მე-100 შაიბა შეაგდო, ფრენსისმა კი კარიერაში 1592 ქულა მიითვალა და ლიგის ყველა დროის საუკეთესო ხუთეულიდან თავად ფილ ესპოზიტო განდევნა.

**სამველ ლარიბიანი**



44X55: ვანკუვერელი ტოდ ბერტუცი დეტროიტელ ლარი მერფიზე ამხედრდა



## კრივალოსანი

# ოთხი პატარა ამბავი დიდ კაცებზე



მაიკ ტაისონი

**მაიკ ტაისონს მიჩიგანში საკრივო ლიცენზია შეუჩერეს და 205 ათასი დოლარის გადახდა დააკისრეს — თურმე 20 ოქტომბერს ანჯეი გოლოტასთან ჩხუბის წინ შარდი საანალიზოდ არ ჩაუბარებია.**

**მიჩიგანელთა ეს გადაწყვეტილება ამ შტატის გარეთაც გავრცელდება, რადგან მისთვის ანგარიშის გაწევას ნევადის სპორტული კომისია აპირებს. ნევადელთა აღმასრულებელმა დირექტორმა, მარკ რეტნერმა განაცხადა: „ჩვენ პატივს ვცემთ სხვა შტატების ანალოგიურ ორგანიზაციათა გადაწყვეტილებებს". თუმცა, ეს ვერდიქტი, ბევრს არაფერს ცვლის, რადგან ყოფილი მძიმეწონოსანი ჩემპიონი უახლოესი სამი თვის განმავლობაში რინგზე გასვლას სულაც არ აპირებს. იგი არც საქმის განხილვას დასწრებია. იქ მისი ვექილი ნილ ფინკი გახლდათ და კომენტარი არაფერზე გაუკეთებია.**

**მიჩიგანელთა სპორტის თავკაცებმა გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით, 6:1 მიიღეს. წესით ამ პროცესში კიდევ ორი ჩინოსანი უნდა ჩართულიყო, მაგრამ მათ სხდომას გააცდინეს. იმ ერთადერთმა, ტაისონის დასჯას მხარი რომ არ დაუჭირა, მიზეზად ეს მოიდო, თუკი კაცმა საანალიზოდ შარდი არ ჩააბარა, ბრძოლა რატომღა გამართეთ, თქვენი ბრალიაო.**

**საკითხავი კიდევ აი, რა არის: აპირებს კი მაიკ ტაისონი ოდესმე მიჩიგანში ჩხუბს?**

ოსკარ დე ლა ჰოია ანუ კრივის „ოქროს ბიჭი", უახლოეს ბრძოლას მარტში გამართავსო, უთქვამს მის ახალ პრომოუტერს. 34 ბრძოლიდან მხოლოდ ორში დამარცხებული დე ლა ჰოია არტურო გატის უნდა შეხვდეს. მას მერე, რაც ივნისში, შეინ მოზლისთან ბრძოლაში, WBC-ს პირველი ქვესაშუალო წონის ჩემპიონობა დაკარგა დე ლა ჰოია რინგზე აღარ გასულა.

„ცეცხლითა და ჟინით ვარ სავსე" — განაცხადა კალიფორნიაში, ბიგ ბეარში დაბანაკებულმა მოკრივემ — „ჩინებულია ახალი ათასწლეულის ახალ მწვრთნელთან, უფროს ფლოიდ მეივეზართან, ახალ პრომოუტერთან, ჯერი პერენკიოსთან და „იუნივიჟენ სპორტსთან" ერთად დაწყება". ახალი კარიერის საუკეთესო ნაწილი დამიდგება და ამ ხალხის დახმარებით მინდა საშუალო წონების უძლიერესი მოკრივე გავხდე. გატისთან ჩხუბის შემდეგ ქვესაშუალო წონაში გადასვლა მსურს".

დე ლა ჰოიას ცხოვრებაში მოზლისთან დამარცხების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ იყო და რინგს გაერიდა, რათა მომღერლის კარიერა დაეწყო. ჩაწერა კიდეც ესპანურენოვანი სიმღერების ფირფიტა, რომელიც „გრემის" ნომინაციაშიც კი მოხვდა. ამასთან, აგვისტოში, მოკრივემ მწვრთნელი, რობერტ ალკასარი დაითხოვა და დიდი ხნის პრომოუტერს, ბობ არუმსაც უგანა — არუმთან საქმის გარჩევა ლოს ანჯელესის სასამართლომ წინა კვირაში დაასრულა.

**ქვემძიმეწონოსანი ჩემპიონი, უმცროსი როი ჯონსი, რომელიც ტამპას ყინულის სასახლეში 24 თებერვალს დერიკ ჰერმონს უნდა ეჩხუბოს, ამბობს, რომ აგდებით არასდროს არავის უყურებს, მათ შორის არც ახლანდელ მოწინააღმდეგეს.**

**„ამ ბიჭს, რომელსაც არასდროს შევხვედრივარ, პატარ-პატარა შანსებს მივცემ. აბა, 8 წლის წინანდელივით რომ ჩავცქეტო, ვიფიქრებ, რომ წინსვლა არ მქონია" — განაცხადა ჯონსმა.**

**საქმე ის გახლავთ, რომ ჯონსს თავიდან ბერნანდ ჰოპკინსთან უნდოდა ჩხუბი — 1993 წელს მან ჩემპიონის ტიტული სწორედ ჰოპკინსს წაართვა — მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. შემცვლელად ქამრების მფლობელმა ჰარმონს მიაგნო, რისთვისაც დიდი კრიტიკა დაატყდა თავს — ძლიერებს გაურბისო. სამაგიეროდ, ამ ჩხუბში ჯონსი 5 მილიონ დოლარს მიიღებს, მეტოქე კი 500 ათასს უნდა დასჯერდეს.**

**„მე ნებისმიერ გამოწვევას ვიღებ. სულ ერთია... თუმცა, მე რომ მიწვევ, ხომ უნდა ხვდებოდე, რომ კარიერის გაფუჭებით რისკავ. რა გაეწყობა, ამ ბიჭს ეს არ ესმის" — ამბობს ჩემპიონი.**

ლენოქს ლუისი თავისი ტიტულების (WBC და IBF) დაცვას 21 აპრილს აპირებს — რა განმარტება უნდა იმას, რომ ლაპარაკი მძიმე წონაზეა.

მაგრამ, 21 მარტს ლუისის მოწინააღმდეგე მაიკ ტაისონი არ იქნება.

ორშაბათს ლუისმა ჩამოთვალა შესაძლო მეტოქეები, რომელთა შორის ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი და განელი დევიდ იზონიც იყვნენ. ბრძოლა, სავარაუდოდ, ლას ვეგასში გაიმართება.

რაც შეეხება ტაისონს, ლუისი ამბობს, რომ მასთან ჩხუბი დიახაც სურს, ეს წლეულს აუცილებლად მოხდება, მაგრამ როდის, ჯერ უცნობია:

„გავიგე ტაისონი ისევ ვარჯიშობს, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ ვინმესთან ბრძოლას გეგმავდეს. ალბათ, უბრალოდ, წონის დაკლება უნდა. ჩემი მხრივ კარი ღია მაქვს. როცა უნდა და სადაც უნდა იქ შემხვდეს".



ლენოქს ლუისი

# დაჯილდოება და მორის გრინი



REUTERS ლონდონიდან





REUTERS ლონდონიდან

ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“ მსოფლიო სპორტის ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. ეს ღონისძიება სრულიად ახალია — წლის რჩეულთ ჯილდოები პირველად შარშან გადაეცათ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. წლეულს კი ამ ამბავს მსოფლიოს 30 ქვეყნის დარჩეულ-ნომინანტი დაესწრო, ამათ შორის კი ფეხბურთელი დევიდ ბექემი, ამერიკელი მძლეოსანი მორის გრინი და სხვანი. ამერიკელმა მორბენალმა მაიკლ ჯონსონმა წლის მორბენლის ჯილდო მიიღო. საბრძოლო სპორტებში რჩეული კი ბრიტი მოკრივე ლენოქს ლუისი შეიქნა. ჯილდოები მრავლად გაიცა და სადილიც დიდებული იყო.

იმავ დღეს კი თანამედროვე სპორტის ლეგენდა, მორის გრინი და ოლიმპიური საოცრება მარიონ ჯონსი ლონდონშივე ჩაერთნენ „ნაიკის“ ახალი ფეხსაცმლის „შოქსის“ პრეზენტაციაში. ვინ ვინა და საკუთარი პროდუქციის რეკლამისთვის უკეთესი ხალხი ძნელად მოიძებნება. დიად ჯესი ოუენსისა და კარლ ლუისის მემკვიდრე გრინი ამ ორთა დარად ოდესღაც სიგრძეზე მხტომელი ყოფილა. ისტორიაში ის პირველი კაცია ერთდროულად რომ ფლობს 60 და ას მეტრზე რეკორდებს. მარიონ ჯონსმა კი სიდნეიდან სამი ოქროს მედალი წაიღო შინ, 100, 200 და ესტაფეტაში გამარჯვებისა.

# ჯერ თავი არ ატკიებიათ

რუსი მარატ საფინი ჩოგნის ტარით გაეთამაშა ბურთს. კარგია, როცა კორტზე დგახარ და გეხუმრება. ავსტრალიის ღია პირველობა მეორე ნომრად განთესილი საფინისთვის ჯერჯერობით კარგად მიმდინარეობს, მეორე წრეში მან რუმინელი ანდრეი პაველი დაამარცხა. არც შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს ჰქონია რაიმე პრობლემა, იოლად მოუგო უნგრელ კატალინ მაროში — არაკამას და ავტოგრაფებიც სიამოვნებით ჩამოარიგა.



REUTERS მელბურნიდან





REUTERS ვინიპეგიდან

# მოლოდინი

კანადის ქალაქ ვინიპეგში ფიგურული სრიალის ეროვნული ჩემპიონატი იწყება. ოდესღაც ვინიპეგს ჰოკეის პროფესიული კლუბი „ჯეტსი“ ჰყავდა. მაშინ „არენას“ ყინულის მოედანი ასეთი ცარიელი არ ჩანდა, თუმცა ყინულზე მოცეკვავეებსაც მშვენივრად ეხერხებათ თეთრი სივრცის შევსება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge